როლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ს. ს. რ
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24, ტელეფონი 5—48.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—8.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—8.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 5.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დღიური

შტრეზემანმა ხელი აიღო: „საქმიანი" კაბინეტის შედგენაზე და ისევ სოციალ-დემოკრატები მიიწვია მთავრობაში.

სოციალ-დემოკრატებმა თანხმობა განაცხადეს მთავრობაში შესვლაზე და უკვე აიღეს რამოდენიმე პორტფელი.

შტრეზემანმა მოსთხოვა რეიხსტაგს მთავრობისათვის დიქტატორული უფლებების მინიჭება. სოციალ-დემოკრატებმა ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს.

გერმანიის მარკით დოლარი ღირს 800 მილიონი.

№ 231 სამშაბათი, 9 ოქტომბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 400.000 მან. № 231

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ახალგ. კომკავშირის დამაარსებელის და პარტიის ძველი თავდადებული მებრძოლის

ამხ. ბორის ძნელაძის

უდროვოდ დაკარგვას.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი აცნობებს ამხანაგებს ახალგაზრდათა კომკავშირის დამაარსებელის, პროლეტარულ რევოლიუციისათვის თავდადებულ მებრძოლის

ამხ. ბორის ძნელაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს.

კომუნისტურ ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ჩვენი კავშირის დამაარსებელის და თავდადებულ მებრძოლის

ამხ. ბორის ძნელაძის

უდროვოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 11 ოქტომბერს

ღრმად დამწუხრებულნი ძმა ვარლამი, რძალი ალექსანდრა (შურა) და მარუსია, ბიძები გიორგი ძნელაძე და კოტე ცქიტიშვილი თავიანთი ოჯახებით აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ ამა წლის 5 ოქტომბერს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ბორის (ბორია) ძნელაძე

გამოსვენება 11 ოქტომბერს, ნაშუადღევს 4 საათზე, განოვის ქუჩა. № 3.

23 3—1

ყველა პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს

ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავის აღსანიშნავად საქ. კომ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი სცემს კრებულს სათაურით:

„ოქტომბრის რევოლიუცია და საქართველო"

კრებული (დაახლოვებით 300 გვერდი), რომელშიც მოთავსებული იქნება წერილები ამხ. ლენინის, რადეკის, ტროცკის, ბუხარინის, ცეტკინის, კოლაროვის, მახარაძის, ცხაკაიას, ელიავას, ორახელაშვილის კანდელაკის, სტურუას, ყურულაშვილის, კახიანის და სხვ. კრებული შესდგება შემდეგი განყოფილებებიდან

1. ოქტომბრისაკენ.
2. ოქტომბრის გადატრიალება და მისი ადგილი ისტორიაში.
3. ოქტომბრის გადატრიალება და მენშევიკური საქართველო.
4. ოქტომბერი საქართველოში.

კრებულში მოთავსებული იქნება ილიუსტრაციები და ოქტომბრის რევოლიუციის ბელადების სურათები. საჭიროა ყველა პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებმა წინასწარ დაიკვეთონ საჭირო რაოდენობა კრებულისა. კრებული ეღირება 3 მან. ჩერვონცებით და გადახდა შეიძლება ორ წილათ: დაკვეთის დროს პირველი, და მიღების დროს—მეორე ნახევარი.

დაკვეთა შეიძლება პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოში წიგნის მაღაზიაში, რუსთველის პროსპექტი № 22.

ს. კ. პ. ც. კ. საგიტპროპო განყოფილება

ისევ კოალიცია

დიქტატურა პროლეტარიატის, კომუნისტების მეთაურობით, თუ დიქტატურა ფაშისტების—ასეთია ორნაირი შესაძლებლობა, გამომდინარე გერმანიის დღევანდელი მდგომარეობიდან. ძალთა დაპირისპირებამ ამ ერთი თვის წინათ ვერ გადასწყვიტა ეს საკითხი ან ერთის ან მეორეს სასარგებლოთ და ჩვენ მივიღეთ დროებითი ზავი, რომლის გამოხატულება იყო ფაქტიურათ შტრეზემანის კოალიციონური მთავრობა სოციალ-დემოკრატების მონაწილეობით. პირველი კოალიცია დაიშალა ამ დღეებში დასახელებულ ორი უკიდურესი ძალების ამოქმედების შედეგათ და მმართველ წრეებში დაისახა აშკარა გადახრა უკიდურეს მემარჯვენეებისკენ, რომლის დასკვნა უნდა ყოფილიყო ერთპიროვნული დიქტატურა. წინასწარი პირობა ამისთვის უნდა ყოფილიყო დღევანდელი რეიხსტაგის გარეკვა „გერმანიის პარლამენტარიზმი მოკვდა—სწერს სტინნესის ლიიბ ორგანო—მისი ადგილი უნდა დაიკავოს დიქტატურამ"-ო. ლაპარაკია, ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, უკიდურეს მემარჯვენეების დიქტატურაზე. ფრაქციათა თათბირის შემდეგ, როგორც დეპეშები გვაცნობებენ, შეუძლებლათ იცვნეს ასეთი ნაბიჯი და დირექტორიიდან კვლავ დაუბრუნდნენ კოალიციას. ამავე დეპეშების თანახმათ უკვე შესდგა ახალი კოალიციონური მთავრობა ისევ სოციალ-დემოკრატების მონაწილეობით, მაგრამ ამ შემთხვევაში იმ განსხვავებით, რომ 1) ოთხის მაგივრათ, სოციალ-დემოკრატია წარმოდგენილია ახალ მთავრობაში სამი მინისტრით, 2) ფინანსთა მინისტრის პორტფელი, რომელიც ჩაბარებული ჰქონდა სოც.-დემ. ჰილფერდინგს, გადაეცა სახალხო პარტიის წარმომადგენელს, 3) სოც.-დემოკრატიის ხარჯზე გაძლიერდა ბურჟუაზიული შემადგენლობა ახალი კაბინეტის და 4) თვით სოციალ-დემოკრატია შედის მთავრობაში უკვე შეკვეცილი მოთხოვნებით, ძველი პლატფორმის უარყოფით. მან უარი განაცხადა რვა საათის სამუშაო დროს დაცვაზე, უკან წაიღო ჰილფერდინგის ფინანსიური პროგრამაც. ასე ცხვირპირ გასწორებული ამშვენებს დღეს ის შტრეზემანის ახალ კაბინეტს.

ცხადია, ახალი კოალიციის შექმნა, რომელიც არსებითად დიდათ არ განსხვავდება ძველისაგან, მაჩვენებელია იმის, რომ ფაშიზმი ვერ გრძნობს თავის უკან ჯერ კიდევ საკმაო ძალას, რომ თავზე მოახვიოს გერმანიას თავისი დიქტატურა. ისე, როგორც კუნოს დაცემის შემდეგ დროებითი ზავით დათავდა ძალთა ჭიდილი, დღესაც ასეთივე მოკლე შესვენებით დათავდა პირველი კოალიციონური მთავრობის კრიზისი. ახალი კოალიციის არსებობის მოკლე დრო მოუნდება ძალების მობილიზაციის გაგრძელებას და თითქოს დამყარებული წონასწორობის დარღვევას, რომლის შემდეგ კვლავ წამოიჭრება საკითხი ან ერთი ან მეორე უკიდურესი დიქტატურის შესახებ.

ამნაირად ახალი კოალიციის ხანა არის გარდამავალი ხანა დიქტატურისაკენ. როგორი იქნება ეს დიქტატურა, ამას დაგვანახვებს ახლო მომავალი. კომუნისტური პარტია და რევოლიუციონური პროლეტარიატი ისარგებლებენ ამ დროით ძალთა განწყობილების შესაცვლელათ თავიანთ სასარგებლოთ. ამ მიმართულებით სწარმოებს ენერგიული მუშაობა. ამ მუშაობიდან აღსანიშნავია ერთიანი ფრონტის შედგენის ცდა საქსონიაში და ტიურინგიაში, სადაც ეწყობა მთავრობები სოციალ-დემოკრატებისა და კომუნისტების მონაწილეობით.

გადამწყვეტი ბრძოლა მზადდება გერმანიაში.

ბეჭდვითი ნაწარმოების გამოფენა

ტფილისში საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სესიის დროს, ნოემბერში ეწყობა ამიერკავკასიის ბეჭდვითი ნაწარმოების გამოფენა. რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა უკვე მიმართა მოწოდებით სათანადო ორგანიზაციებს გამოფენაში მხურვალე მონაწილეობის მისაღებათ, ამიერ-კავკასიაში ბეჭდვითი საქმის მდგომარეობის სავსებით გასაშუქებლათ. ეჭვი არ არის, რომ ეს მიმართვა მხურვალე გამოძახილს ჰპოვებს ყველა ორგანიზაციებში და ძვირფასი სტუმრების, საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენელთა ტფილისში მუშაობის დროს ჩვენ ვიხილავთ სრულ სურათს ბეჭდვითი საქმის და გამომცემლობის მდგომარეობისას ამიერ კავკასიის ხალხთა სხვადასხვა ენებზე.

თუ არ ვცდებით ასეთი გამოფენა ჩვენში პირველად ეწყობა, ყოველ შემთხვევაში ასეთი ფართო პროგრამით და მიზანდანიშნულებით ბეჭდვითი ნაწარმოებთა გამოფენა პირველი იქნება და მის მოწყობას ყოველმხრივ უნდა შევუწყოთ ხელი. გამოფენის მოწყობამდე ძალიან ცოტა დრო გვრჩება და ამიტომ საგამოფენო მუშაობას დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ, თუ გვინდა რომ გამოფენამ სავსებით მიაღწიოს თავის მიზანს და დანიშნულებას.

საბჭოთა ხელისუფლებამ სულ მოკლე დროში შესძლო მოსკოვში პირველი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობა დიდი, გრანდიოზული მასშტაბით და თუმცა ჩვენ ძალიან მოკლე დრო დაგვრჩენია ბეჭდვითი ნაწარმოების გამოფენის გახსნამდე, მაგრამ უნდა შევსძლოთ ამ დროში ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობის და მისი წარსული ისტორიის შესახებ ნათელი სურათის მოცემა სათანადო სტატისტიკური ცნობებით, დიაგრამებით და საჭირო მასალებით. ამ საქმეში დიდი მუშაობა უნდა განავითარონ ცალკე რესპუბლიკების სახელმწიფო გამომცემლობებმა, პარტიის სასტატისტიკო-სააღრიცხვო განყოფილებებმა, გაზეთების რედაქციებმა და ყველამ, ვისაც კი რაიმე დამოკიდებულება აქვს პრესის და წიგნის საქმესთან.

უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს გამოფენისთვის მოსამზადებელ მუშაობის დროს იმ არალეგალურ რევოლიუციონურ გამომცემლობას, რომელიც ჩვენ დრომდე ჰერქვეშ იყო ჩადენილი და უდიდეს რევოლიუციონურ-აღმზრდელობითი მუშაობას აწარმოებდა. საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობა 1905 წელში არა თუ რუსეთის, საზღვარგარეთელი მშრომელი ხალხის უდიდეს ყურადღებას იპყრობდა და აღტაცებაში მოჰყავდა ყველა ქვეყნის რევოლიუციონერები. რასაკვირველია, ამ დროს რევოლიუციონური გამომცემლობაც საკმაო ფართო იყო მიუხედავათ იმ აუტანელი მდგომარეობისა, რომელშიაც იმყოფებოდენ ჰერქვეშ მომუშავე ამხანაგები. ერთ დროს პარტიის საერთო (მთელი რუსეთის) ცენტრის ორგანოებიც ხომ ჩვენში იბეჭდებოდენ და ყოველივე ეს უნდა გააშუქოს გამოფენამ მშრომელთა ფართო მასის წინაშე. სამივე რესპუბლიკების—აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს რევოლიუციონურმა მუზეუმებმა უნდა გვიჩვენონ ძვირფასი ნაშთი ამ გამომცემლობისა და მუშაობისა ციხის საკანებიდან და არალეგალური სტამბების ბნელი, უსინათლო სოროებიდან. უნდა დაგვისახელონ და გვიჩვენონ ის სახელოვანი გმირები, რომლებიც ამ მძიმე მუშაობას ეწეოდენ.

ამასთანავე ერთად ლეგალური და საშკოლო წიგნების გამომცემლობა, სხვადასხვა ენებზე სავსებით უნდა იქნეს გაშუქებული გამოფენაზე მისი თანდათანობითი განვითარებით, განვლილი ისტორიული ეტაპებით და მომავალი პერსპექტივებით. ციფრები, რა სიძნელესაც არ უნდა წარმოადგენდენ მათი შეკრება, უნდა იძლეოდენ უტყუარ ცნობებს ამიერკავკასიის ხალხთა შორის ბეჭდვითი საქმის განვითარების და გავრცელების შესახებ. წარსული ხომ აუცილებლათ გაშუქებული უნდა იქნეს, მაგრამ, ამასთანავე ერთად, დღევანდელი მდგომარეობაც სავსებით გადაშლილი უნდა იქნეს, რომ ყველამ ნახოს ნაკლი და ღირსება ჩვენი დროის ბეჭდვითი ნაწარმოებისა, რომ მით საშუალება მოგვეცეს მისი უფრო მეტი გაუმჯობესების და წინსვლის როგორც შინაარსის მხრივ, ისე მისი გავრცელების მასშტაბით.

გამოფენამ უნდა მოგვცეს სრული წარმოდგენა ახალი შრომის სკოლის სახელმძღვანელოების შესახებ, რომლითაც იზრდება ჩვენი ნორჩი თაობა და თუ რამდენად ახლო არიან ეს სახელმძღვანელოები ჩვენი დროის მსოფლმხედველობასთან და მეცნიერულ შეხედულებებთან. ამ დარგში ამიერკავკასიის მასშტაბით ბევრი რამ არის გააკეთებული და თუ საბჭოთა რუსეთმა წინ გაგვისწრო ამ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა ვეცადოთ მას დავეწიოთ, დავუახლოვდეთ. ეს უახლოეს მიზნათ უნდა დავისახოთ.

საზოგადოთ კი ჩვენ ბეჭდვითი ნაწარმოებით არც ისე ღარიბი ვართ არც დღეს და არც წარსულში, როგორც ეს შეიძლება ვინმეს ეგონოს, განსაკუთრებით ეს ითქმის საქართველოზე. ყველა რესპუბლიკები ამ მხრივ ერთგვარ სურათს ვერ მოგვცემენ, ზოგი მეტ სიმდიდრეს გვიჩვენებს და ზოგიც ნაკლებს. რაც აიხსნება წარსული ისტორიულ-კულტურული განვითარების პირობებით. ჩვენ დროში საბჭოთა ხელისუფლება დიდ ენერგიას და საშუალებებს ხარჯავს ბეჭდვითი ნაწარმოების გასადიდებლად და გასაუმჯობესებლათ. ამ მხრივ მას ვერც ერთი სხვა მთავრობა ვერ შეედრება და თუ სათანადო შრომა იქნა გაწეული, გამოფენა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნებს ამაში. დრო ძალიან ცოტა გვრჩება, 15 ოქტომბრამდე რ. კ. პ. ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტში წარდგენილი უნდა იქნეს ბეჭდვითი ნაწარმოების პერიოდული და არა პერიოდული გამომცემლობის ეგზემპლიარები, აგრეთვე კედლის გაზეთები და სხვა.

7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავზე, როდესაც ტფილისში გაიხსნება საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესია, გაიხსნება ამიერკავკასიის ბეჭდვითი ნაწარმოების გამოფენაც. ამ დღისთვის ყოველგვარი საკითხები და ცნობები სავსებით დამუშავებული უნდა იქნენ, რისთვისაც საჭიროა მუშაობას ამთავითვე შევუდგეთ როგორც ცენტრში, ისე პროვინციალურ ქალაქებში.

გამოფენას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მომავალისთვის და იქ ბეჭდვითი საქმის წარსული, და დღევანდელ მდგომარეობის მთლიანად და სავსებით გადაშლას მომავალი პერსპექტივებით მთელი ენერგიით უნდა შევუწყოთ ხელი.

ი. ბ.

ამხ. ბორის ძნელაძე

სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა ის... ყველას, მის ახლობელ ამხანაგებს გვჯეროდა მისი გამოჯანმრთელება. მაგრამ ყველაზე ძლიერად ის თვით მას სწამდა. ავადმყოფობის დროსაც, მწოლარე ის ისეთივე ოპტიმისტი, ისეთივე ენტუზიასტი იყო, როგორც ჩვენ ვიცნობდით მას საერთო მუშაობაში, წინეთ, მენშევიკების დროს და ეხლა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში. შესწყდა მაჯის ცემა ბორიასი, რომელიც ასე ძვირფასი იყო საქართველოს რევოლიუციონურ ახალგაზრდობის, კომუნისტურ კავშირისათვის. ჩვენ ველარ მოვისმენთ მის აღტაცებით სავსე სიტყვებს... გაჰქრა მისი ცეცხლისებური ტემპერამენტი, რომელიც მენშევიკების რეპრესიების დროს გვაიმედებდა, გვამხნევებდა მის თანამებრძოლთ. აღარ არის ბორის ძნელაძე, რომლის ისტორია მთელი ჩვენი კავშირის ისტორიაა. ის იყო მისი დამაარსებელი... ის იყო პირველი მერცხალი, უშიშარი პიონერი საქართველოს წითელ ახალგაზრდობისა. მან „გაბედა" 6 წლის წინად პირველი თესლის გადასროლა... ის დასტრიალებდა თავს იმის საყვარელ საგანს საქართველოს კომუნისტურ კავშირს. დიახ, ბორია განუშორებელი იყო ჩვენ ორგანიზაციასთან. მისი მეთაურობით გამოიარა კავშირმა ტანჯვით სავსე დღეები „აღმოსავლეთის ოაზისში".

1920 წელს ბორიას ხელმძღვანელობით იკრიბება ჩვენი ყრილობა, მენშევიკების ნებართვით; ეს ყრილობა შემდეგ მენშევიკებმა უსირცხვილოთ გარეკეს. პასუხისგება, გადასახლება—ეს ბორიას ხვედრი დარჩა. ის, უშიშარი, ამაყი, შესაფერისად უმასპინძლდება მენშევიკების „ოხრანკის" აგენტებს. ბორია საქართველოს გარეშეც მუშაობს. ის გადასახლების შემდეგ აზერბეიჯანის ცკას მდივანია. გაისმის მის ხმა ბაქოს მაზუთიან ახალგაზრდობაში. ის ამიერკავკასიის მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. ბორია პირველად ესწრება რუსეთის კომკავშირის მე 3-ე ყრილობას, ესალმება მას ცეცხლფრქვევი სიტყვებით, უზიარებს მას, რომ ტიტანიურ ბრძოლაში რუსეთის ახალგაზრდობასთან არის საქართველოს რევოლიუციონურ ახალგაზრდობაც.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ის სათავეში უდგას ჩვენს კავშირს, რვა თვის განმავლობაში წინ მიუძღოდა მას.

მეტის მეტ ძნელ პირობებში უხდებოდა წარსულში კომუნისტურ კავშირის თავისი მუშაობა, მაგრამ ბორიას მისი ენერგია, თავდადება, თავდები იყო კრიტიკულ მდგომარეობის თავიდან აცილებისა.

შემდეგ ის წავიდა... სხვა სამუშაოზე მაგრამ მოშორდა კავშირს.—სრულიადაც არა. ის მაინც ჩვენთან იყო ყოველი ჩვენი წარმატება მასში უზომო სიხარულს იწვევდა. ის ეცნობოდა ჩვენი კავშირის მდგომარეობას, გვაძლევდა რჩევას, ესწრებოდა ყრილობებს. კიდევ მეტი, ის წავიდა სამუშაოთ სწორედ იქ, სადაც ჩვენი კავშირის მასსა იყო თავმოყრილი, სამხედრო სკოლაში. იქ ამზადებდა წითელ არმიის კომანდირებს, საბჭოთა რეჟიმის მომავალ დარაჯებს. მათთან ერთად ატარებდა თავის ცხოვრებას. იქ გაცივდა ბორია, დაავადმყოფდა მძიმეთ... მთელი ზაფხული მან აგარაკზე გაატარა. თითქოს იკურნებოდა, ჯანმრთელდებოდა... ყოველ თვეში წარმატება ეტყობოდა. იმდენად დარწმუნებული იყო თავის თავში, რომ ივლისის ბოლოს ბორჯომიდან სურამშიაც კი წავიდა თავის სკოლაში, კურსანტებთან.

მაგრამ მას არ დასცალდა... ძლიერ ბევრი ენერგია შესწირა მან ჩვენ მოძრაობას, სკოლას. საუკეთესო პერიოდი თავის ცხოვრების მან შეუერთა ჩვენს ორგანიზაციას. ძალ-ღონე გამოფიტული გაუშვით ის... ეხლა კი თავზარ დაცემით ამბავს შეიტყობს საქართველოს კომუნისტური კავშირი. აღარ არის ბორია დაუღალავი, მოუსვენარი... დადუმდა მისი ბაგეები.

წარმოუდგენელია ეს ამბავი მის ამხანაგებისათვის, თანამებრძოლთათვის. მაგრამ ჩვენ გადავეჩვიეთ გლოვას, ტირილს, გოდებას... საუკეთესო პატივისცემა ბორიასათვის, მისი ღვაწლის დაფასება ჩვენი ენერგიული მუშაობა იქნება. სრული ამის შეგნებით, გაეშურება წინ ჩვენი კავშირი ბორიას ანდერძის შესასრულებლად. მან დაარსა კავშირი... ხუთი კაცი იყო. ეხლა კი თექვსმეტი ათასია. კიდევ უფრო გაიზრდება არმია კომკავშირებისა და მის საფლავზე, ჩვენი ბელადის საფლავზე მივალთ შემდეგ, გადავსცემთ მას, რომ წინ მიდის, სცოცხლობს, მუშაობს, იბრძვის და იმარჯვებს მისი საყვარელი ოჯახი, საქართველოს კომუნისტური კავშირი.

მშვიდობით ბორია... ბუნების ულმობელმა კანონებმა შესწყვიტა შენი სიცოცხლე მეტის-მეტად საინტერესო მომენტში, როდესაც დასავლეთში რევოლიუციის ტალღები აზვირთდა, მაგრამ კომკავშირი ფიცს სდებს შენი გაცივებული გვამის წინაშე, რომ ის ღირსეული მებრძოლი იქნება რევოლიუციის ასპარეზზე.

ვ. ბოგბეშვილი.

გერმანიის ამბეში

ბრძოლა მუშურ-გლეხურ მთავრობისათვის

კომუნისტები შედიან საქსონიის მთავრობაში.

ბერლინი. 6 ოქტომბერი. საქსონიის სოციალ-დემოკრატებმა კომპარტიას მთავრობაში დაუთმეს რამდენიმე პორტფელი. ტიურინგიის მთავრობას განზრახვა აქვს მიბაძოს ამ მაგალითს.

ერთიანი ფრონტით.

ბერლინი 5 ოქტ. ამ დღეებში საქსონიაში საბოლოოდ ირჩევა საკითხი მუშათა და გლეხთა მთავრობის შექმნის შესახებ. კომპარტიამ მთავრობაში მონაწილეობის მიღების პირობათ წამოაყენა ბრძოლის ერთიანი ფრონტის შექმნა თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ. მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული პრესა, უწევს რა ანგარიშს მასების განწყობილებას, მოითხოვს მუშათა და გლეხთა მთავრობის შექმნას. საქსონიის ყველა მუშათა ორგანიზაციები ერთსულოვნად გამოსთქვამენ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარების სურვილს. ახალი მთავრობას უხათუოდ მხარს დაუჭერენ პროფკავშირები, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები, პროლეტარული ორგანიზაციები და ლანდტაგის უმრავლესობა.

ხემნიცის წითელი ორგანიზაციები.

ბერლინი. 5 ოქტ. ხემნიცის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კრება შეუერთდა მოთხოვნილებებს წარმოებებში მოქმედების კომიტეტების შექმნის, გერმანიაში ცენტრალურ პროფკავშირების და საქსონიაში დაუყოვნებლივ მუშათა და გლეხთა მთავრობის დახმარების შესახებ. ხემნიცის ორგანიზაციები იმოქმედებენ დამოუკიდებლად, თუ ცენტრალური პროფკავშირები უარს იტყვიან მუშების მოთხოვნილებების შესრულებაზე. ხემნიცის ორგანიზაციების საერთო კრებაზე მიღებული რეზოლიუცია მოუწოდებს მახლობელ სამრეწველო ოლქების პროლეტარიატს მხარი დაუჭირონ ხემნიცის მუშებს.

სრულიად გერმანიის მოქმედების კომიტეტების შექმნის პროექტი.

ბერლინი. 5 ოქტომბერი: გერმანიის კომპარტიამ გამოაქვეყნა ღია წერილი ლედებურის ჯგუფის სოციალ-დემოკრატების, გერმანიის პროფკავშირების საყოველთაო გაერთიანების და მოსამსახურეების პროფკავშირების გაერთიანების მიმართ. წერილი მოითხოვს დაარსებული იქნეს შეერთებული მოქმედების კომიტეტები, კონტრრევოლიუციის საფრთხის მოგერიების და მუშათა მთავრობების შექმნის მიზნით. ბერლინის კოალიციონური მთავრობის შექმნა წარმოადგენს ამ წინადადების არა პირდაპირ უარყოფას.

სამუშაო დღის გაგრძელების წინააღმდეგ.

ბერლინი. 5 ოქტომბერი. გამოქვეყნდა სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების მოწოდება, რომელშიაც გამოთქმულია პროტესტი 8 საათის სამუშაო დღის გაუქმების მოთხოვნის წინააღმდეგ.

„ფორვერტს"-ის ცნობით, სოციალ-დემოკრატიამ მოიწონა შტრეზემანის მიერ წამოყენებული კანდიდატურა შახტის, დარმშტადტის ბანკის დირექტორის, ფინანსთა და სახალხო მეურნეობის მინისტრის თანამდებობაზე. თავისთვის სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ შრომის მინისტრის პორტფელს.

სახალხო პარტიის პოზიცია გამოურკვეველია. დემოკრატიული პარტია ამტკიცებს, რომ სახალხო პარტია გათიშვის წინაშე სდგას.

სტინნესის დიქტატურის მომხრენი და მოწინააღმდეგენი.

ბერლინი. 5 ოქტომბერი. ახალი კაბინეტისადმი ნაციონალისტების უარყოფითი დამოკიდებულების გამორკვევის შემდეგ, შტრეზემანი ცდილობს ჰპოვოს დახმარება კავშირებში სტინნესის დიქტატურის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის. პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ კოალიციონური კაბინეტის შედგენის შემთხვევაში, უკანასკნელი იარსებებს რამოდენიმე კვირის განმავლობაში, ხოლო შემდეგ გამოცხადდება სტინნესის და სამხედრო პირების დიქტატურა.

მემარჯვენე ორგანო „დეიჩე ტაგეს ცეიტუნგი" აღნიშნავს, რომ ხალხთა მასებს აღარ აკმაყოფილებს არავითარი ილიუზიები. „საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღოს ცალმხრივ გადაწყვეტილებებს; მხოლოთ საქმიანი და მოფიქრებული გადაწყვეტილებები იხსნიან გერმანიას ხალხთა მასების აღშფოთებისაგან".

სტინნესის ორგანო „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგი" იცავს დიქტატურას და აღნიშნავს, რომ პარლამენტის სისტემამ მოჭამა თავისი დრო. „რუსეთში არ არის პარლამენტი. იტალიაში და ესპანეთში პარლამენტარიზმი დამარცხდა. გერმანიის პარლამენტი მოკვდა. მას შესცვლის დიქტატურა"-ო.

რეიხსტაგის ხელახალი არჩევნების პროექტი.

ბერლინი. 5 ოქტომბერი. რეიხსტაგის კომფრაქციამ მოითხოვა რეიხსტაგის გაშვება და ახალი არჩევნების დანიშვნა. ბურჟუაზიული პარტიები და სოციალ-დემოკრატები ეწინააღმდეგებიან კომუნისტებს იმის შიშით, რომ ახალ რეიხსტაგში უმეტესობას გაიყვანენ კომუნისტები.

მოლაპარაკების მსვლელობა საქსონიის კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის.

ბერლინი. 5 ოქტომბერი. გრძელდება მოლაპარაკება საქსონიის მთავრობაში კომუნისტების შესვლის შესახებ. საქსონიის სოციალ-დემოკრატები აყენებენ შემდეგ პროგრამას: 1) კომუნისტები შედიან საქსონიის მთავრობაში. ამასთანავე შეერთებულ მუშაობის საფუძვლათ უნდა დარჩეს სრულიად გერმანიის და საქსონიის კონსტიტუციები. კომუნისტების შესვლას მთავრობაში მიზნათ აქვს რესპუბლიკის განმტკიცება და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება. 2) აღკრძალული იქნება ყველა არალეგალური და ანტი-რესპუბლიკანური გაერთიანებები; შედგენილი იქნება პროლეტარული რაზმები. პროგრამა შეიცავს კ. დევ მუხლებს სახალხო მეურნეობისა და წარმოების შესახებ და აგრეთვე მოთხოვნილებებს. რეიხსვერის რესპუბლიკანიზაციისა, რეალურ ღირებულებათა დაპყრობისა და 8 საათის სამუშაო დღის კანონმდებლობითი განმტკიცების შესახებ. აღნიშნავს რა კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატების პარლამენტარულ მუშაობის გაერთიანების აუცილებლობას, პროგრამა მოითხოვს მჭიდრო კავშირის დაწესებას სხვა საოლქო და სოციალისტურ მთავრობებთან.

კომუნისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის სწარმოებს მოლაპარაკება მთავრობის ამ პროგრამის და კომპარტიის პროგრამა—მინიმუმის შეთანხმების შესახებ. კომპარტიის ცეკას რეზოლიუცია ამ საკითხის შესახებ ამბობს: „იმ საშიშროების გამო, რომელიც მოელის გერმანიის, უმთავრესათ კი, საქსონიისა და ტიურინგიის პროლეტარიატს, რომელიც ნიშანში ჰყავს ამოღებული ფაშისტებს, ცეკა ადგენს უყოყმანოთ შევიდეს ტიურინგიისა და საქსონიის მთავრობებში, ტიურინგიისა და საქსონიის სოციალ-დემოკრატებთან ერთად."

ახალი კაბინეტის შემადგენლობა

ბერლინი. 7 ოქტომბერი. დიქტატორული უფლებებით საქმიანი კაბინეტის შედგენის უნაყოფო ცდის შემდეგ აღდგენილ იქნა დიდი კოალიცია. შტრეზემანმა შეადგინა ახალი კოალიციონური კაბინეტი შემდეგი შემადგენლობით:

1) კანცლერი და გარეშე საქმეთა მინისტრი—შტრეზემანი (სახალხო პარტია) 2) აღდგენის მინისტრი—შმიდტი (სოციალ-დემოკრატი) 3) შინაგან საქმეთა მინისტრი—ზოლმანი (სოციალ-დემოკრატი); 4) ფინანსთა მინისტრი—ლიუტერი (სახალხო პარტია); 5) სახალხო მეურნეობის მინისტრი—კიოტი (ცენტრი); 6) შრომის მინისტრი—ბრაუნი (ცენტრი); 7) იუსტიციის მინისტრი—რადბრუხი (სოციალ-დემოკრატი); 8) თავდაცვის მინისტრი—ჰესლერი (დემოკრატი); 9) ფოსტის მინისტრი—გიოფლერი (ცენტრი); 10) გზათა მინისტრი—ეზერი (დემოკრატი) 11) დაკავებულ ოლქების მინისტრი—ფუქსი (ცენტრი) 12) სასურსათო მინისტრი ჯერ კიდევ არ არის დანიშნული.

ამრიგათ, კაბინეტის მთელი შემადგენლობა წინანდელია იმ განსხვავებით, რომ ფინანსთა მინისტრი ჰილფერდინგი (სოციალ.-დემ.) შეცვლილია ლიუტერით (სახალხო პარტია) და სახალხო მეურნეობის მინისტრი რაუმერი (სახ. პარტია) შეცვლილია კიოტით (ცენტრი).

მარკის კურსი.

ბერლინი 7 ოქტომბერი. შაბათს 6 ოქტომბერს დოლარის კურსი უდრიდა 740 მილ. მარკას.

სოციალ-დემოკრატების კაპიტულაცია

გატეხილ ვარცლთან.

ნაუენი. 5 ოქტომ. შტრეზემანმა უარი სთქვა მცირე და საქმიანი კაბინეტის შედგენაზე, რომელიც აღჭურვილი უნდა იქნეს დიქტატორული უფლებებით და მომხრეა მიღებულ იქნეს დემოკრატების წინადადება ძველი კოალიციის აღდგენის შესახებ ზოგიერთი ცვლილებებით ამ საკითხის გარშემო იმართება პარტიების თათბირი.

ორი გამოსავალი.

ბერლინი. 5 ოქტომ. შტრეზემანის უშედეგო ცდამ უპარტიო კაბინეტის შედგენისათვის ცენტრის პარტიებისათვის შექმნა ორი გამოსავალი: რეიხსტაგის გაშვება და მემარჯვენეების დიქტატურა, ან ძველი დიდი კოალიციის დაბრუნება. ცენტრის პარტიებმა აირჩიეს უკანასკნელი.

ეძებენ მოხერხებულ გამოთქმას.

ბერლინი. 5 ოქტომ. რეიხსტაგის დემოკრატიულმა ფრაქციამ აუკრძალა გესლერს თავდაცვის მინისტრის პორტფელის მიღება. სოციალ-დემოკრატია დიდი სიხარულით შეუდგა მოლაპარაკებას ბურჟუაზიულ პარტიებთან დიდი კოალიციის აღდგენის შესახებ. ფრაქციათა შორის გამართულ თათბირზე ეძებენ მოხერხებულ გამოთქმას 8 საათის სამუშაო დღის გაუქმებისათვის, რათა დაფარონ სოციალ დემოკრატიის კაპიტულაცია ბურჟუაზიის წინაშე.

რას აპირებს გერმანიის მთავრობა

შტრეზემანის სიტყვა

ბერლინი. 6 ოქტ. შაბათს, რეიხსტაგის პირველ სხდომაზე შტრეზემანმა, წარადგინა რა ახალი კაბინეტი, წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა.

შტრეზემანი სტინესის მიერ არის მოსყიდული.

შტრეზემანის სიტყვის წინ კომუნისტი კენენი მოითხოვდა რეიხსტაგისაგან ბავარიაში შექმნილ მდგომარეობის განხილვას. კომუნისტი გელლეინი მოითხოვდა რეზოლიუციის დაუყოვნებლივ განხილვას ჰესლერის ცირკულიარით შემოღებულ ცენზურის გაუქმების შესახებ. ორივე წინადადება უარყოფილ იქნა რეიხსტაგის მიერ. შტრეზემანის გამოსვლას ტრიბუნაზე კომუნისტები შეხვდენ ძახილით: „სტინესის მიერ მოსყიდულო". ამის საპასუხოდ შტრეზემანმა განაცხადა, რომ სტინესს არავითარი როლი არ უთამაშია კაბინეტის შედგენაში. აღნიშნა რა, რომ პარლამენტარიზმს ყველა ქვეყნებში თავს ესხმიან, შტრეზემანმა ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის ინდუსტრიის წარმომადგენლები ნაწილობრივ დამნაშავენი არიან გერმანიის ფინანსიურ დაშლილობაში და პარლამენტარიზმის კრიზისის შექმნაში, რადგან არაფერი არ უნდათ შესწირონ სახელმწიფოს და მოუწოდა მათ მთავრობისათვის ფაქტიურ დახმარების გაწევისაკენ. შემდეგ შტრეზემანმა სთქვა, რომ რეიხსტაგმა უნდა სთქვას უარი თავის უფლებაზე და გადასცეს მთავრობას მთელი ძალაუფლება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამისათვის საჭიროა რეიხსტაგის ორი მესამედის თანხმობა.

პასიურ წინააღმდეგობის შესახებ

მოახდინა რა უკანასკნელი ამბების ისტორიული მიმოხილვა შტრეზემანმა აღნიშნა, რომ გერმანიის მდგომარეობა უფრო უკეთესი იქნებოდა, თუ კუნოს კაბინეტი შეწყვეტდა პასიურ წინააღმდეგობასო. მემარჯვენეთა პროტესტის გამო, შტრეზემანმა მიუთითა ოკუპაციით დაკავებულ ოლქების მცხოვრებთა დემორალიზაციის ნიშნებზე. ფინანსიურ კრახის გამო, ყოვლად შეუძლებელი გახდა პასიური წინააღმდეგობით რისიმე მიღწევა, რომლის შეწყვეტასაც მოითხოვდენ ოკუპაციით დაკავებულ ოლქების

საჭირო განმარტება

(ამხ. კ. ორაგველიძეს)

ამხ. ორაგველიძემ ჩემი სადისკუსიო წერილიდან (ჩვენი პრესა „კომუნისტი"-ს № 224) „გამოყო ერთი საკითხი თეორეტიული ხასიათისა". „ეს საკითხი შეეხება" ენისა და ერის წარმოშობის საკითხს. (ნახ. კ. ორაგველიძის წერილი „კომუნისტი"-ს № 227).

მე ვწერდი: „ენა კი ...ეროვნული მოვლენაა და არა კლასობრივი. ენა იმ დროსაა შექმნილი, როცა კლასების ჭაჭანებაც არ იყო, ამიტომ ეს ორი სხვადასხვა მომენტი—ეროვნული და კლასობრივი ...კარგათ უნდა გავარჩიოთ ერთი მეორისაგან და ერთმანეთში არ უნდა აურიოთ...".

როგორც ხედავთ აქ კაცობრიობის ისტორიის ორი მომენტია აღნიშნული: ერთი ენისა და ერის წარმოშობის და მეორე კლასების გაჩენისა, და პირველი მომენტის აღსანიშნავათ ნახმარია სიტყვა ეროვნული (კ. ორაგველიძის გაგებით—ვითომდა ნაციონალური) შეიძლება ეს სიტყვა სისწორით ვერ გამოხატავს აღნიშნულ აზრს, მაგრამ ყველასთვის ცხადია, რომ ამ სიტყვით მე პირველი ენისა და ერის წარმოშობის მომენტი აღვნიშნე და არა „თანამედროვე ლიტერატურული ნაციონალური ენისა და ბურჟუაზიული ერის კონსოლიდაციისა".

ჩემი ულმობელი ოპონენტი კი დაჟინებით გაიძახის: „ჩვენ ვფიქრობთ ეს სიტყვა (ენა. რ. ქ.) მეორე მნიშვნელობით არის ნახმარი"-ო. და აი მის ასეთ მართლაც და გაუგებრობაზე არის აგებული მთელი მისი „კრიტიკა" ჩემ წინააღმდეგ მიმართული. თორემ მას რომ ჩემი სიტყვები—ენა, ერი, ეროვნული „მეორე მნიშვნელობით" კი არა, არამედ მისი ნამდვილი, ისტორიული მნიშვნელობით გაეგო, მაშინ, უნდა ვიფიქროთ, მისი კრიტიკული აღტყინება ჩანელდებოდა და საწერათ გამზადებული ხელი ძირს დაეშვებოდა.

საქმე ის კი არაა დღეს, ამხანაგო, რომ ბურჟუაზიული ერის და მისი ეროვნული ენის წარმოშობის პირობები და მომენტი აღნიშნო: ეს ჩვენში ნაციონალისტებმაც კი გაიგეს, არამედ—ის, რომ ნათლად და სისწორით გაარჩიო ერთი-მეორისაგან ერი ეროვნული კლასისა დ კლასიურისაგან. ნათლად და სისწორით, სინამდვილით გამოარკვიოთ ამ ორი ისტორიული მოვლენის, თუ გინდ კატეგორიის ერთი-მეორისაგან დამოკიდებულება, ერთი-მეორის ურთიერთობა. აი რაშია მთელი სიძნელე საკითხისა და აი, აქ, ჩემი ღრმა რწმენით, დიდათ სცდებიან არა მარტო ნაციონალისტები. ეს სიძნელე, ჩემი აზრით, ჯერ ისევ დაუძლეველი დარჩა და, ვფიქრობ, ამას დიდი დრო და დიდი მუშაობა დასჭირდება. აქ არც ადგილი მაქვს და არც დრო, რომ ამ საკითხის გადაჭრას შევუდგეთ, სამწუხაროთ ამხანად მხოლოთ კითხვის წამოყენებით უნდა დავკმაყოფილდე და ვრჩები იმ იმედით, რომ ამხ. კ. ორაგველიძეს და მისებრ მოაზროვნეთ ჯერ-ჯერობით ეს პაწია განმარტებაც დააკმაყოფილებთ.

რ. ქ.

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

გერმანიის მუშათა დახმარების ცენტრალურ კომისიისაგან

წინადადება ეძლევა ყველა საქალაქო და სამაზრო კომისიებს და აგრეთვე შემოწირულებების მიმღებ გაზეთების რედაქციებს, **მიღებული შემოწირულებები ჩააბარონ ცენტრალურ კომისიას გაზ. „კომუნისტის" რედაქციაში.**

შემოწირულება ნატურით შეიძლება და უნდა იქნეს მიღებული უმთავრესად. გლეხებისაგან; შემოწირულებათ მიღებულ იქნეს შემდეგი საგნები: ღვინო, მატყლი, ერბო, ყველი, ხორბალი, კართოფილი, ნიგოზი, ჩაი და სიმინდი.

ადგილობრივი, სამაზრო და რაიონული კომისიები შემოწირულებებს აბარებენ ადგილობრივ კოოპერატივებს. შემოწირულებათა სია დაუყოვნებლივ იგზავნება ცენტრალურ კომისიაში, ხოლო ასლი—ცეკავშირში შემოწირულების მიმღები კოოპერატივის ხელისმოწერით.

ცეკავშირს ანგარიშს გაუსწორებს ცენტრალური კომისია.

სათანადო განკარგულება ცეკავშირის მიმართ უკვე გაცემულია.

გერმანიის მუშათა დახმარების ცენტრალური კომისია

ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს:

ამხ. ს. ორჯონიკიძის გამოწვევის საპასუხოთ შემაქვს გერმანიის პროლეტარიატის დახმარების ფონდში **ერთი ჩერვონეცი** და ვიწვევ ჩემის მხრივ შემდეგ ამხანაგებს: **კოლია ამირალოვს, ალ. ერქომაიშვილს, დათიკო კანდელაკს, მარ. ორახელაშვილს, ალ. ვაშაძეს, პ. საყვარელიძეს („მუშა"), ლავრენტი ქართველიშვილს, კარლო ორაგველიძეს გ. კვარაცხელიას თედო ღლონტს, ბუაჩიძეს, გრიშა გოგოტიშვილს, ბარონ ბიბინეიშვილს, ლ. ავენირს, სიმონ ჩიხლაძეს, ალ. ჩერჩელაშვილს, სიმონ ხუნდაძეს, კარპე მოდებაძეს, ისიდორე, სევასტი და სონია თალაკვაძეებს.**

ამასთანავე ვაცხადებ ამ ამხანაგების საყურადღებოთ, რომ შეგვიძლია არ მივიჩნიოთ მაინცა და მაინც ერთი ჩერვონეცი ჩვენი შესაძლებლობის უმაღლეს მიღწევათ და ამიტომ მათ სრული უფლება აქვთ შემოიტანონ ფონდის გასაძლიერებლათ უფრო მეტი, თუ ამას კეთილ ინებებენ.

ნ. კიკნაძე.

შემოსულია სულ 4 ჩერვონეცი და 178 მილ. მან.

მცხოვრებნი. პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტის პოლიტიკურ მოლაპარაკებისათვის გამოყენების ამოცანები არ იყო გადაჭრილი და შტრეზემანის კაბინეტმა მარცხი განიცადა.

ივაშ ანტანტასთან შეთანხმება.

აბათილებს რა მემარჯვენეთა განცხადებებს თითქოს მთავრობა სცდილობდეს საფრანგეთის ორიენტაციის მიღებას, შტრეზემანი აღნიშნავს, რომ **საჭიროა მთელ ანტანტასთან შეთანხმების მიღწევა. ცენტრმა და სოციალ-დემოკრატებმა მოიწონეს შტრეზემანის აზრი.** მან განაცხადა, რომ ის მზადაა წარსდგეს უზენაეს სასამართლოს წინაშე რურში ბრძოლის შეწყვეტის საკითხის გამო. პასიურ წინააღმდეგობის შეწყვეტა არ ნიშნავს დაკავებულ ოლქების თავისუფლებისათვის ბრძოლის უარყოფას.

მეორე ხარისხოვანი საკითხი.

შემდეგ შტრეზემანმა სთქვა, რომ მმართველ-გამგეობის ფორმის საკითხი დღევანდელ მომენტში არის მეორე ხარისხოვანი საკითხი და საალყო წესები არის მხოლოდ სამოქალაქო ომის სიშიშროების შედეგი. აი ამიტომ ბავარიის მთავრობამაც უნდა შემოიღოს საალყო წესები.

შტრეზემანის განცხადებას, რომ კოუსტრინის რეიხსვერის ყოფა-ქცევა ამტკიცებს რეიხსვერზე თავდასხმის უსაფუძვლობას, **სასტიკი პროტესტით შეხვდენ კომუნისტები.** შეეხო რა ფინანსიურ და სამეურნეო საკითხებს, შტრეზემანმა აღნიშნა, რომ ცალ-ცალკე ოლქებმა უნდა მიიღონ მაქსიმალური ფინანსიური დამოუკიდებლობა, რისთვისაც საჭიროა ფინანსების ცენტრალიზაციის კანონის გაუქმება. ვალიუტის კურსის დაცემასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა მეურნეობის გაჯანსაღება.

განსაკუთრებულ ღონისძიებათა გამართლება.

კომუნისტების პროტესტების გამო, შტრეზემანმა აღნიშნა, რომ იქ, სადაც შრომის ნაყოფიერების გაზრდა არ შეიძლება გატარდეს ძალდაუტანებლად, **საჭიროა განსაკუთრებული ღონისძიებანი, რის გატარებაც პარლამენტარული აპარატის საშუალებით შეუძლებელია.**

სრული ძალაუფლება.

გაილაშქრა რა ცენ. სინდიკატების დიქტატურის წინააღმდეგ, შტრეზემანმა გაიმეორა, რომ **რეიხსტაგმა მთავრობას უნდა გადასცეს სრული ძალაუფლება.** კომუნისტების შეკითხვაზე. „საალყო მდგომარეობის დროსო?", მან უპასუხა, რომ საალყო წესები არსებობს მხოლოდ კომუნისტების წყალობით. **კომუნისტების პროტესტებმა აიძულეს შტრეზემანი რამდენიმე წუთით შეეწყვიტა სიტყვა.** შემდეგ მან განაცხადა, რომ საალყო წესები მიმართულია ყველა ანტისახელმწიფოებრივ მიმდინარეობათა წინააღმდეგ.

შტრეზემანის სიტყვა მოწონებული იქნა უმრავლესობის მიერ. კომუნისტების და ტევტონიის სახალხო თავისუფლების პარტიის წინადადება კამათის გახსნის შესახებ უარყოფილ იქნა. კამათი დანიშნულია ორშაბათისათვის.

პირველი კრახის შემდეგ

პრესის ხმა.

ბერლინი. 5 ოქტომბერი. ბერლინის სოც.-დემოკრატიული პრესა განაგრძობს საკითხის განხილვას „დიდი კოალიციის" ანუ „ბურჟუაზიის საქმიან თანამშრომლობის" კაბინეტის პერსპექტივების შესახებ. მემარჯვენე პრესა კი, პირიქით, გადავიდა შეტევაზე მთელი ფრონტით.

გაზ. „დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგი" უძღვნის შტრეზემანს ნეკროლოგს და ილაშქრებს ბურჟუაზიულ მთავრობის კაბინეტის წინააღმდეგ. „გერმანიის ხალხსო, ამბობს გაზეთი,—ესაჭიროება გარკვეული და ენერგიული ხელმძღვანელობა. საჭიროა სასწრაფო მოქმედება. ჩვენ არ შეგვიძლია დროის დაკარგვა".

„დეიჩე ტაგესცეიტუნგი" ხაზს უსვამს, რომ მომენტის მთავარი ამოცანაა: **„ხელიდან გამოგლიჯონ მარქსიზმს ძალა-უფლებას გერმანელი მუშები".** „კრეიცცეიტუნგი" გაბედულად ილაშქრებს შტრეზემანის მიერ ახალ კაბინეტის შედგენის წინააღმდეგ. „გერმანიის ხალხსო,—ამბობს გაზეთი,— რომელშიაც თანდათან იღვიძებს ნაციონალური შეგნება, ესაჭიროება განუსაზღვრელი ნდობით აღჭურვილი ხელმძღვანელები".

„ცეიტი" ამტკიცებს, რომ **აზრი დიდი კოალიციის შესახებ ჯერ კიდევ არ არის დავიწყებული.** ძალიან სამწუხარო იქნებოდაო, ამბობს გაზეთი, თუ რომ **მთავრობის კრიზისთან ერთად სოციალ-დემოკრატიის შიგნივ გაძლიერდებოდა კომუნისტებთან შეთანხმების ტენდენცია.** ახლო მომავალი დაგვანახვებს, რამდენად ძლიერაა სოციალ-დემოკრატიის შიგნივ დიდი კოალიციის იდეა და შესძლებს თუ არა ზომიერი მიმართულება თავის ხაზის გაყვანას".

„ფორვერტსი" ხაზს უსვამს, რომ სოც.-დემოკრატიამ გამოამჟღავნა „კეთილი სურვილები" მდგომარეობის გამოსასწორებლად, და აღნიშნავს მძიმე ინდუსტრიის განზრახვას აღადგინოს წმინდა წყლის საფაბრიკო აბსოლიუტიზმი.

„ბერლინერ ტაგებლატი" წინადადებას იძლევა **შტრეზემანის ახალ კაბინეტს მიენიჭოს დიქტატორული უფლებები.**

დაპყრობილ ოლქებში

დეგუტის სურვილის წინააღმდეგ.

ნაუენი. 5 ოქტომბერი. დიუსელდორფიდან მიღებული ცნობით, რეინის მოკავშირეთა კომისიას განზრახული აქვს დაკავებულ ოლქებში სამხედრო მმართველობა შესცვალოს სამოქალაქოთი, რასაც ეწინააღმდეგებიან სამხედრო პირები, გენერალ დეგუტის მეთაურობით.

მუშაობა უმეტეს ნაწილათ განახლდა.

ნაუენი. 5 ოქტომბერი. სამთომადნო მუშათა კავშირის მოწოდების გამო, განახლდა მუშაობა ესენის ოლქის წარმოებების მეტ ნაწილში. აახენის ოლქის სამთომადნო მუშებმა განაახლეს მუშაობა იმის შემდეგ, როცა დააკმაყოფილეს მათი მოთხოვნილება ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტების 18 წევრის ციხიდან განთავისუფლების შესახებ. მუშებმა განაცხადეს, რომ **ისინი დათანხმდებიან ბელგიის ხელისუფლების მოთხოვნილებაზე** 7 საათის სამუშაო დღის 8 საათით შეცვლის შესახებ მთელ იმ შემთხვევაში, თუ განთავისუფლებული იქნებიან მუშების დაპატიმრებული ბელადები.

ბულგარეთში მაინც იქნება მუშათა და გლეხთა მთავრობა

ბოლგარეთის კომპარტიის ბელადის ამხ. კოლაროვის განცხადება.



ამხ. ვ. კოლაროვი

კომინტერნის ც. აღმასკომის გენერალური მდივანი, ბულგარეთის კომპარტიის ბელადი, რომელიც მეთაურობდა რევოლიუციონურ გამოსვლებს ბულგარეთში.

მოსკოვი, 8 ოქტ. „როსტას" თანამშრომელთან საუბარში ბულგარეთის კომპარტიის წარმომადგენელმა კომინტერნში ამხ. საპუნოვმა განაცხადა:

ფაქტიურად აჯანყება ბულგარეთში ჩაქრობილია. მიუხედავათ ამისა, აჯანყებულთა რაზმებმა თავი შეაფარეს მთებს, საიდანაც განაგრძობენ ბრძოლას. ბულგარეთის გლეხობა თითქმის გამოუკლებლივ ბრძოლის დროს კომუნისტებთან იყო. აჯანყებულები მოქმედებდენ იშვიათი ერთსულოვნებით. უკანასკნელი ცნობა ამბობს, რომ 13—19 წლის ბავშვები და ქალები იბრძოდენ აჯანყებულთა რაზმებში. თუმცა აჯანყებამ თავის მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ მან საგრძნობლად შეარყია ბურჟუაზიული მთავრობა. პიროვის მთავრობის გამარჯვება — გამარჯვება არ არის. ხალხის მასებს იგი ეჯავრებათ და მმს არსებობა შეუძლია მხოლოდ ხიშტებზე დამყარებით.

დასასრულ ამხანაგმა საპუნოვმა გვაცნობა, რომ ქალაქი პიროტუდან (სამხრეთ-სლავია, ბოლგარეთის საზღვართან 40 ვერსის დაშორებით) მიღებულია ამხ. კოლაროვის წერილი, სადაც იტყობინებ, რომ ის და სხვა მისი ამხანაგები თავისუფალნი არიან. წერილის კილო ვაჟკაცურ მხნეობით სავსეა და თავდება ასე: **ბულგარეთში ასეა თუ ისე მაინ მუშათა და გლეხთა მთავრობა „შეიქმნებაო".**

ქართული ემიგრაცია გერმანიაში

(საუბარი ამხ. ს. ორჯონიკიძესთან)

ვისგან შესდგება ქართული ემიგრაცია.

ქართული ემიგრაცია გერმანიაში შესდგება ქართველი მენშევიკებიდან, ნაციონალ-დემოკრატების ნაწილისაგან, მენშევიკური მთავრობის ყოფილ სტიპენდიანტ-სტუდენტებისაგან და სხვადასხვა ჯურის და სხვა უსაქმო ხალხისაგან.

რით სცხოვრობს ემიგრაცია.

ზოგიერთი ემიგრანტები მუშაობენ ბერლინის ერთი სპეკულიანტური ბანკის გარშემო, რომელიც დაარსეს ხოშტარიამ, დათეშიძემ, კვიტაძემ, ალშიბაიამ და სხვებმა, ნაწილი თავს აფარებს რესტორანებს, რომლებიც ატარებენ დამახასიათებელ სახელწოდებას „ალავერდი" და სხვა.

მენშევიკების ზედა წრე, რომელიც თავის თავს მთავრობას უწოდებს, სცხოვრობს საქართველოდან გატანილი ქონების ხარჯზე.

სტუდენტობის მდგომარეობა.

ყველაზე უნუგეშო მდგომარეობაში ყოველ მხრივ, როგორც ეკონომიურათ, ისე მორალურათ არის სტუდენტობა. წარსულ წელში ყოფილმა მენშევიკურმა მთავრობამ მათ შეუწყვიტა სტიპენდიების მიცემა და ისინი იძულებული გახდენ რომ ეცხოვრათ ან მოეძებნათ სამუშაო ან და ეცხოვრათ ხოშტარიას, რომის პაპის ან ამერიკული კომიტეტის შემოწირულებების ხარჯზე.

ამჟამად მათ თითქმის არავინ არაფერს არ აძლევს და სტუდენტების მდგომარეობა ძლიერ გაუარესდა მატერიალურად. ამ ზაფხულში სტუდენტების ნაწილი გაემგზავრა საფრანგეთში შავ სამუშაოზე, რომ შემოდგომაზე ისევ დაბრუნებოდენ სწავლას.

გერმანიაში მყოფ ქართველი სტუდენტობის ორგანიზაციის ყოფილმა თავმჯდომარემ ხუნდაძემ განაცხადა მე, რომ ნოე რამიშვილისაგან სტიპენდიების მიცემის შეწყვეტის შესახებ ცნობის მიღებისთანავე სტუდენტების ნაწილმა წამოაყენა საკითხი საქართველოს საბჭოთა მთავრობისათვის მიმართვის შესახებ, მაგრამ ნ. რამიშვილის განცხადების შემდეგ, რომ ასეთი მიმართვა იქნებოდა მათი არსების უარყოფა, სტუდენტების უმრავლესობამ მაშინ გადასწყვიტა თავი დაეჭირა ასეთი მიმართვისაგან.

სტუდენტობა მოწყვეტილია საქართველოს.

სრულიად შემთხვევით ლეიპციგის გამოფენაზე მე და ამხ. ლ. ღოღობერიძე შევხვდით სტუდენტებს ახმეტელს, ნოზაძეს და თალაკვაძეს.

მიუხედავათ მენშევიკების დადგენილებისა ბოლშევიკებისათვის სალამის მიცემისაგან თავის დაჭერის შესახებ, ჩვენ გავეცანით ერთმანეთს და მთელი დღე გავატარეთ გაცხოველებულ საუბარში.

აქ პირველათ შეიქნა ჩემთვის ნათელი, რომ ქართველი სტუდენტობა მოწყვეტილია საქართველოს, არ მოეპოვება მას არავითარი სწორი ცნობები და მენშევიკი ინფორმატორები კვებავენ მათ სხვადასხვა ჭორებით.

ამ ხალხს არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმის შესახებ თუ რა ხდება ამჟამად საქართველოში. მდგომარეობა საქართველოში ეხატება მათ სრულიად შავი ფერებით. ჩვენთან საუბარის დროს, ისინი გაოცებული გვეკითხებოდენ,—ნუ თუ მართალი არ არის რასაც ჩვენ გვატყობინებენ ბატონი რამიშვილი, ჟორდანია და წერეთელი.

მაგალითად მათ არწმუნებდენ, რომ მენშევიკური პარტიის დაშლა ხდება ხანჯლების და რევოლვერების მუქარის საშუალებით.

რათა ბოლო მოღებოდა ჩვენში მდგომარეობის შესახებ ყოველგვარ გაუგებრობას, ჩვენ წინადადება მივეცით მოეწვიათ ქართველი სტუდენტების კონფერენცია, აერჩიათ სამი პატიოსანი სტუდენტი და გავგზავნოთ ისინი საქართველოში მდგომარეობის გასაცნობათ.

როგორც შემდეგ გადმომცეს, სამივე ისინი შემდეგ გაემგზავრენ ბერლინში და შეეცადენ დაესვათ საკითხი ჩემი წინადადების შესახებ, მაგრამ დაქირავებული მენშევიკები საშინელი აურზაურით შეხვდენ მათ. მათ უმტკიცებდენ, რომ მათ არ ჰქონდათ უფლება სალამი მოეცათ ჩვენთვის და სხვა.

ჯერ-ჯერობით ეს პირველი შეტაკება გათავდა იმით, რომ დაქირავებული მენშევიკები გასამართლებით დაემუქრენ ახმეტელს, ნოზაძეს და თალაკვაძეს ჩვენთვის ხელის ჩამორთმევისათვის. ახმეტელმა მეორე დღეს შეიტანა განცხადება მენშევიკური პარტიიდან გამოსვლის შესახებ, დანარჩენმა ორმა კი მიმართა მენშევიკურ ც. კ. პარიზში. მეორე ჩემი შეხვედრა იყო გზათა ინჟენრების ინსტიტუტის კურს დამთავრებულ ხუნდაძესთან. საუბარი მასთან პირველად არ იყო მაინცა და მაინც მშვიდობიანი.

მისი პირველივე სიტყვები შეეხებოდენ იმას, რომ ჩვენი წითელარმიელები აუპატიურებდენ ქართველ ქალებს, ძარცვავენ ქართველ გლეხებს და საერთოდ ათასნაირ საშინელებას ახდენენ. მას ისიც კი არ დაავიწყდა, რომ ჩვენ საქართველოდან „რუსეთში გავიტანეთ ტრამვაის ვაგონები".

მან მე გამიცხადა, რომ ჩვენ მოვსპეთ საქართველოს დამოუკიდებლობა, და მათ კი უნდოდათ რომ საქართველო ყოფილიყო ინგლისის პროტექტორატის ქვეშ.

კიდევ ბევრი მელაპარაკა მე ხუნდაძემ, მაგრამ სამი საათის საუბარის შემდეგ, რომელიც სწარმოებდა ჩვენი მოქანდაკის ჭიაურელის, სტუდენტ მასხულიას და ორი ძმის—ბახტაძეების თანდასწრებით, ხუნდაძემ დაიხია მთელ ხაზზე და მთხოვა მე დავხმარებოდი მას საქართველოში დაბრუნებაში, სადაც ის მთელი თავისი ენერგიით მზად არის იმუშაოს საბჭოთა ხელისუფლებასთან.

მე კიდევ რამდენიმეჯერ შევხვდი ხუნდაძეს. შემდეგ მას მოუხდა პატარა ბრძოლის გადატანა დაქირავებული მენშევიკების ბერლინის ბიუროსთან, რომელიც დაემუქრა მას გასამართლებით და პარტიიდან გამორიცხვით.

საქართველოს ხალხის ინტერესები კანადაში.

ზოგიერთებმა ყოფილ სტიპენდიანტების რიცხვიდან დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები და მათ წინაშე დაისვა საკითხი:—რა ვქნათ მომავალში? დავბრუნდეთ სამშობლოში თუ წავიდეთ სადმე სხვაგან.

ემიგრაციის. ლიდერები ურჩევენ მათ „საქართველოს ხალხის საკეთილდღეოთ" წავიდენ არა საქართველოში, არამედ... კანადაში. ასე ურჩევს მათ მაგალითად აკაკი ჩხენკელი.

საჭიროა დახმარების გაწევა სტუდენტებისათვის.

ვინაიდან ყოფილ სტიპენდიანტებს შორის არიან ქართველი, აზერბეიჯანელი და სომეხი სტუდენტები, რომლებმაც ყოველგვარი კავშირი გასწყვიტეს ანტი-საბჭოთა ემიგრაციასთან და აგრეთვე არის მცირე ჯგუფი კომუნისტ სტუდენტების, ამხ. ღოღობერიძემ, ჩვენმა ეკონომიურმა წარმომადგენელმა ამხ. ფირუმოვმა და მე გადავწყვიტეთ მოგვეწვია ქართველ სტუდენტების ყრილობა მათგან მთლიანი საბჭოთა ჯგუფის მოსაწყობათ. ამის განსახორციელებლათ მოეწყო კომისია, რომელშიც შევიდენ ამხ.-ბი ფირუმოვი, ღოღობერიძე და ალიევი.

აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის მთავრობებს მოუწვევთ საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ სტუდენტობისათვის მატერიალური დახმარების გაწევის თავისთავზე აღება. (აზერბეიჯანის მთავრობა უკვე ეხმარება 75 სტუდენტზე მეტს).

პირადათ მე აბსოლიუტურად აუცილებლად ვთვლი ჩვენი საზღვარგარეთელი სტუდენტობისათვის დახმარების გაწევას. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია არ მივიღოთ ყოველგვარი ზომები ჩვენი ახალგაზრდობის გასანთავისუფლებლად მენშევიკების საზღვარ - გარეთელ თეთრგვარდიელთა ემიგრაციის გამხრწნელ გავლენისაგან.

საქართველოს ემიგრაციის იმედები და გახრწნა მის რიგებში.

რით სცხოვრობს საქართველოს ეს თეთრგვარდიელთა ემიგრაცია, რისი იმედი აქვს და ვისგან ელის დახმარებას?

ეხლა ეს ემიგრანტები იმედს ამყარებენ იმაზე, რომ მაკდონალდმა, ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერმა, აღუთქვა მათ, როგორც კი მოხდება რურის კონფლიქტის ლიკვიდაცია იმ წამსვე ევროპის „დემოკრატია" ხელს მიჰყოფს საქართველოს „განთავისუფლებას"-ო.

კარგი იმედია?!!

სჩანს, რომ აქაც არიან ისეთი სულელები, რომელთაც სჯერათ დიდი ევროპის „დემოკრატიის" დახმარების.

ერთ-ერთმა აქედან გაგზავნილმა განათლების სახალხო კომისარიატის, თუ უნივერსიტეტის მიერ, რომელიც აქ ითვლებოდა არქი-ლოიალურათ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ბერლინში თავის ვალდებულებათ სცნო გაეკეთებია მოხსენება წერეთელის, რამიშვილის, ექ. ალშიბაიას და სხვებისათვის საქართველოს მდგომარეობის შესახებ და განეცხადებია, რომ მას დავალებული აქვს ქართველი დემოკრატიისაგან გაიგოს „ბელადებისაგან", თუ როდის დაეხმარება მას დასავლეთ ევროპის დემოკრატია.

ჩვენს წარმომადგენელს მიმართა ერთმა გადასახლებულთაგანმა ყოფილმა მასწავლებელმა ჯიბლაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ის გამოდის მენშევიკური პარტიიდან და მზათ არის მთელი თავისი ენერგიით იმუშაოს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის. უკვე გაცემულია განკარგულება მისი უკან დაბრუნების შესახებ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჯიბლაძეს მიბაძავენ სხვა დანარჩენებიც.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის ყოფილმა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ინგლისში დავით ლამბაშიძემაც მოგვმართა ჩვენ და გამოსთქვა ჩვენთან მუშაობის სურვილი. უკვე გაცემულია ბრძანება მისთვის პასპორტისა და ვიზის მისაცემათ.

კონცესიების შესაძლებლობა საქართველოში.

ჩვენ ამხ. ნიკო კიკნაძესთან და ინჟ. ვაწაძესთან ერთად, გვქონდა მოლაპარაკება გერმანელ მრეწველებთან ჩვენი სიმდიდრეების და მათი დამუშავების შესაძლებლობის შესახებ გერმანიის კაპიტალის მონაწილეობით, მოლაპარაკება ეხებოდა კერძოთ ფერრო-მარგანეცის, ტყვარჩელის ნახშირის, ჩათახის მადანის, სატყეო სიმდიდრეების, ნავთის და სხვ. დამუშავებას.

გამოირკვა, რომ გერმანიის კაპიტალის ინტერესი ჩვენი სიმდიდრეების მიმართ დიდია „აუტო ოფნუნგის" კაპიტალისტების ძლიერ მნიშვნელოვანმა ჯგუფმა და ჰოლანდიის მიულერის და კომ. ფირმამ ჩვენი წინადადებით გამოგზავნა კომისია 3 ინჟენერისაგან შემდგარი, რომელიც გაეცნობა ადგილობრივ ჩვენ პირობებს. ეს კომისია ჩამოვა მახლობელ კვირაში.

ასეთივე მოლაპარაკება ჰქონდათ ამხ. ნ. კიკნაძეს და ვაწაძეს შვეციის მრეწველებთან.

ვ. კარ.

მდგომარეობა გერმანიაში

(ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება

ტფილისის საბჭოს, ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების, ადგილკომების, პროფკავშირთა გამგეობების და ჯარების ორგანიზაციათა გაერთიანებულ კრებაზე)

გერმანიის რევოლიუციის მნიშვნელობა.

8 ოქტომბერს სახელმწიფო ოპერის ტფ. საბჭოს გაერთიანებულ კრებაზე გერმანიაში შექმნილ მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ორჯონიკიძემ, რომელსაც მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით შეეგება.

ამხანაგებო, გერმანიაში დაწყებული ამბები იპყრობს მთელი მსოფლიოს ყურადღებას. გერმანიაში იწყება გადამწყვეტი ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი არსებითად არის დაინტერესებული ამ ბრძოლის დასრულებით. ჩვენ ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდით საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას ჩვენში დასავლეთ - ევროპის პროლეტარიატის დახმარების გარეშე. ჩვენ ვიყავით დარწმუნებული კაპიტალისტურ მსოფლიოს დანგრევასა და პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვებაში. ჩვენ გულუბრყვილონი ვიქნებოდით, თუ ერთი წუთით დაუშვებდით, რომ ჩამორჩენილ გლეხურ ქვეყანაში შეიძლება სოციალიზმის დამყარება, როდესაც გარშემორტყმული ვართ კაპიტალისტური ქვეყნებით.

ჯერ კიდევ იმპერიალისტურ ომის პირველ დღეებში მსოფლიო რევოლიუციის წინამძღოლმა ამხ. ლენინმა აღნიშნა, რომ იმპერიალისტური ომი არის კაპიტალისტურ წესწყობილების დაწყებულ კრახის შედეგი, გაბედულად უარყო ომის ყოველგვარი დახმარება პროლეტარიატის მხრივ და წამოაყენა ლოზუნგი „ომი, ომის წინააღმდეგ",—ლოზუნგი პროლეტარულ რევოლიუციის, პროლეტარიატის დიქტატურის. მაშინ დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავეს ყოფ. 2 ინტერნაციონალის ბელადებმა კაუცკის, შეიდემანის, ვანდერველდის და სხვ. მეთაურობით. საჭიროთ დაინახეს რა თავიანთ ბურჟუაზიისათვის ომში დახმარება, მათ თავიანთ სახელმწიფოების ომი გამოაცხადეს სამართლიანად და ჩაითრიეს პროლეტარიატი მოძმეთა სისხლისმღვრელ ომში. იმათ უარჰყვეს ყოველგვარი აზრი პროლეტარულ რევოლიუციის და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ყოველგვარ უბედურებისაგან დამცველ ძალად მათ მიაჩნდათ დემოკრატია. იმათ სერიოზულად სჯეროდათ, რომ დემოკრატიის საშუალებით შეიძლება გადასვლა სოციალიზმის სამეფოში. გამარჯვებულმა ანტანტამ უკარნახა გერმანიას ვერსალის ხელშეკრულება და გამოუცხადა მთელ მსოფლიოს, რომ ამით თავიდან აშორებულია ომის შესაძლებლობა და კაცობრიობას მიენიჭა თავისუფალი განვითარების საშუალება. ეს არის ბურჟუაზიის მიერ მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტის საშუალება.

„სოც.-დემოკრატების" მუშაობის შედეგები.

ომის შემდეგ პროლეტარიატის აჯანყების საპასუხოთ, სოციალ-დემოკრატიამ ბურჟუაზიასთან ერთად, დემოკრატიის სახელით, ცეცხლითა და მახვილით ჩააქრო ეს აჯანყება, ასე მოიქცა იგი გერმანიასა და სხვა ქვეყნებში.

გერმანიის მაგალითზე ჩვენ უნდა შევამოწმოთ, რამდენად სწორი იყო სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა. დავსვათ შემდეგი საკითხები: გააუმჯობესა თუ არა დემოკრატიამ პროლეტარიატის მდგომარეობა? იხსნა თუ არა მან პროლეტარიატი სამოქალაქო ომისაგან? განამტკიცა თუ არა დემოკრატიამ თანამედროვე პარლამენტარიზმი? იხსნა თუ არა ვერსალის ხელშეკრულებამ კაცობრიობა ომის შესაძლებლობისაგან?

ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა.

ვნახოთ, როგორია საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა გერმანიაში, სადაც ძალაუფლება ყოველთვის დემოკრატიულ მთავრობის ხელში იმყოფებოდა სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობით ან მისი დახმარებით. გერმანია რომ ფინანსიურ კრახს განიცდის, ეს დამტკიცებულია მარკის კურსის არაჩვეულებრივი დაცემით; დოლარი დღეს ღირს 600,000,000 მარკა.

ხაზინის შემოსავალი უდრის 0,9 პროცენტს; საგადასახადო აპარატის შენახვა გაცილებით მეტი ჯდება, ვიდრე მისი შემოსავალი. გერმანიის დავალიანება განუწყვეტლივ მატულობს. რურში წარმოებულ ბრძოლის 7 თვის განმავლობაში 1 აგვისტომდე გამოშვებულ ფულების რაოდენობა გაიზარდა 50 ტრილიონამდე. აგვისტოს პირველ 10 დღის განმავლობაში გერმანიამ გამოუშვა იმდენი ფული, რამდენიც მან წინა 6 თვის განმავლობაში დაბეჭდა, ე. ი. 60 ტრილიონამდე. ეხლა კი ეს ციფრი გაიზარდა რამდენიმე კვადრალიონამდე. შრომის ნაყოფიერება დღითი დღე ეცემა, წარმოებები იხურებიან. ა. | წ. სექტემბრის პირველი კვირის განმავლობაში მხოლოდ ერთ პრუსიაში დაიხურა 2000-ზე მეტი წარმოება. საქონლის ძალიან გაძვირების გამო გერმანია ჰკარგავს არა მარტო საგარეო ბაზრებს, არამედ შინაურსაც. სექტემბრის შუა რიცხვებში ინგლისის ნახშირი გერმანიაში 20 პროცენტით უფრო იაფი იყო, ვიდრე გერმანიის. მუშათა კლასის მდგომარეობა საშინლად გაუარესდა. გერმანიის მუშა მოკლებულია საშუალებას ასე თუ ისე ადამიანურად ირჩინოს თავი. მას უკვე აღარ აქვს ხორცი, ერბო, რძე ბავშვებისათვის, კართოფილის მისაღებადაც კი მას უხდება რამდენიმე საათის განმავლობაში რიგში დგომა. მას არა აქვს საშუალება გამოიცვალოს თეთრეული და ფეხსაცმელი. წვრილი ბურჟუაზია დაუზოგავად ნადგურდება და ნაწილობრივ პროლეტარების და ნაწილობრივ ლუმპენ-პროლეტარების რიგებში დგება. მასწავლებლები, ინჟენრები, ექიმები ძლივ-ძლივობით ირჩენენ თავს. ხშირია შემთხვევა მათ შორის სიმშილის ნიადაგზე სიკვდილისა. ამხ. რადეკის სიტყვით, თანამედროვე პოლიტიკის წყალობით განადგურებულ გაპროლეტარებულ წვრილ ბურჟუაზიის რიცხვი გერმანიაში 9,000,000-ს აღწევს. 1 სექტემბრისათვის უმუშევართა რიცხვი გერმანიაში უდრიდა 300.000-ს. უკანასკნელ ცნობების თანახმად, 1 ოქტომბრისათვის უმუშევართა რიცხვი 600.000 ზე მეტი გახდა,—ერთი თვის განმავლობაში გაიზარდა 100 პროც.-ით. ქვეყნის მართვა-გამგეობის სფეროში, დემოკრატიამ გამოაწვია გერმანიისაგან ბავარიის ფაქტიური ჩამოშორება და უკანასკნელში ფაშისტ-სეპარატისტების ფონკარის შავრაზმული დიქტატურის დამყარება, რაც ამზადებს ბავარიის ტახტზე პრინც-რუპრეხტის მეფედ აყვანას. თვით ბერლინი ჯერ კიდევ შტრეზემან ჰილფერდინგის კოალიციონურ მთავრობის არსებობის დროს, ძალაუფლება ფაქტიურად შავრაზმელ გენერლის—სამხედრო მინისტრის—ჰესლერის ხელში იყო, რომელიც ეყრდნობოდა ყოფილ შავრაზმელ ორგანიზაციებისაგან შემდგარ ჯარებს, რომელშიაც აფიცერთა 75 პროც. ეკუთვნოდა მაღალ არისტოკრატიას. დღევანდელი ცნობების თანახმად პრუსიის წარმომადგენლებთან საუბრის დროს, შტრეზემანმა შეუძლებლად ჩასთვალა გერმანიაში ქაოსის თავიდან აცილება დიქტატურის დამყარების და რეიხსტაგის გაშვების გარეშე. დემოკრატიის მეორე მოციქულმა, სოციალ-დემოკრატმა შეიდემანმა რეიხსტაგს „საგიჟეთი" უწოდა. ამგვარად გერმანიაში დემოკრატიის ხელისუფლების 5 წელმა სრული კრახი გამოიწვია ყველა დარგებში. გერმანიაში შექმნილ თანამედროვე მდგომარეობიდან სარგებელი ნახა მხოლოდ გერმანიის მსხვილმა—სამრეწველო ბურჟუაზიამ. აი როგორ ახასიათებს დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიის ყოფილი ლიდერი, გერმანიის გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ კომიტეტის ერთ-ერთი წევრი, არტურ კრისპინი, გერმანიის თანამედროვე მდგომარეობას.

„შეძლებული კლასები დაუსრულებლად ლაპარაკობდენ ძვირფას სამშობლოს გაჭირვებასა და შევიწროებაზე, და თვით პროლეტარულ მასებს მიანდეს რურის და რეინისათვის ბრძოლის წარმოება. გილფერდინგის ძველი ფინანსიური რეცეპტის მიხედვით, ქაღალდის ფულების ბეჭდვა სულ უფრო და უფრო მატულობდა. გერმანიის დავალიანება გაიზარდა 1,6 მილიონიდან 1923 წ. 11 იანვარში, 69,6 მილიონამდე—23 წ. 4 აგვისტოში. მარკის ღირებულების დაკარგვამ ასწია დოლარის ღირებულება 5 და მეტ მილიონამდე. ფულების ღირებულების დაკარგვისაგან, რომელსაც საშინელი შედეგები მოაქვს მცხოვრებლებისათვის, მსხვილი კაპიტალი ნახულობს უდიდეს სარგებლობას".

აი მაგალითი: 23 წლის 31 ივლისს სახელმწიფო ბანკმა მისცა მწარმოებლებს სესხად 21 მილიონი მარკა, როდესაც დოლარის კურსი ღირდა 1,1 მილიონი. რამდენიმე დღის შემდეგ დოლარი გახდა 5 მილიონი. კრედიტორებს უნდა დაებრუნებიათ სესხის მეხუთედი ნაწილი ე. ი. 4 მილიონი, რადგან სახელმწიფო ბანკი იძლევა სესხს ქაღალდის მარკებით. მწარმოებელთა სარგებელმა რამდენიმე დღეში 17 მილიონს მიაღწია ინფლიაციის გამო.

პირველათ ყოვლისა ინფლიაციიდან დიდი მოგება გამოაქვთ ტრესტებში, სინდიკატებში და კარტელებში გაერთიანებულ მსხვილი კაპიტალისტებს ამით აიხსნება მათი სასტიკი ბრძოლა მარკის სტაბილიზაციის წინააღმდეგ. ყოველივე ეს ხდება მუშა-მოსამსახურეების, წვრილ მოხელეთა და წვრილ მწარმოებელთა ანგარიშზე. წვრილი მწარმოებლები ნედლი მასალას იძენენ მსხვილ კაპიტალისტურ ორგანიზაციებისაგან და ამისათვის მონოპოლიურ ფასებს იხდიან. ამ მსხვილ-კაპიტალისტურ მრეწველობის სამეურნეო შედეგები შემდეგია: მუშა-მოსამსახურეთა და მოხელეების რეალურ ხელფასის შეუჩერებელი დაცემა. გაზოგანოების ზრდა, საშუალო წრეების სიარსებო მატერიალურ პირობების მუდმივი გაუარესება, მათი პროლეტარიზაცია და ხშირათ ლუმპენ-პროლეტარებათ გადაქცევა; ეს შედეგები თავს იჩენენ აქა იქ აფეთქებაში, მშიერთა არეულობაში, ძარცვაში, ზნეობის დაცემაში და ანარქიაში. ამ შედეგებამდი მიიყვანა ქვეყანა კუნოს ხელმარჯვე მართვა გამგეობამ 7 თვის განმავლობაში".

ასე სწერდა კრისპინი 23 წლის 1 სექტემბერს. წარმოიდგინეთ, რის დაწერა შეუძლია მას ეხლა შტრეზემან-ჰილფერდინგის კაბინეტის 2 თვის „ხელმარჯვე მართვა-გამგეობის" შემდეგ, რომელმაც ფულის კურსი დოლართან შედარებით 600,000,000 მარკამდე მიიყვანა, ხუთი მილიონის მარკის მაგიერ—კუნოს კაბინეტის დროს.

ვერსალის ხელშეკრულებამ არათუ არ შექმნა ზავი, არამედ საფრანგეთი რურის დაჭერით ფაქტიურათ განაგრძობს ომს გერმანიასთან. შტრეზემანის კაპიტულიაცია ვერ შველის მდგომარეობას. პუანკარე წინანდებურათ მთელი ძალღონით აწვება გერმანიას და არავითარ დათმობას არ იჩენს. მისი მიზანია, გერმანიის სრული დაუძლურება. ის სისხლის ღვრას უმზადებს რურის მუშებს, რურის საპყრობილეში მას ჩამწყვდეული ჰყავს 18 ათასი გერმანელი მოქალაქე. ის განაგრძობს გერმანელ მოხელეების გადასახლებას რურიდან და გერმანიის ბანკების კონფისკაციას. ასეთია ვერსალის ხელშეკრულების შედეგები; კაცობრიობა კვლავ დგას ომის საშინელების წინაშე და საფრანგეთიც გამალებით ემზადება ომისათვის.

საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება.

რასაკვირველია, არავის არ სჯერა გერმანიის თანამედროვე მდგომარეობის სიმტკიცე: ბურჟუაზიაც და პროლეტარიატიც ემზადებიან გადამწყვეტ შეტაკებისთვის. მსხვილი ბურჟუაზია სტინესის,—კაპიტალისტურ გერმანიის ამ ნამდვილ ბატონ-პატრონის, პარტია მოითხოვს 8 საათის სამუშაო დღის დაუყოვნებლივ გაუქმებას და 10 საათის სამუშაო დღის დაწესებას ხელფასის გაუდიდებლათ, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების, საკონტროლო კომისიების და მუშათა წითელ რაზმების დაშლას, პროფკავშირთა უფლებების შეზღუდვას, რეიხსტაგის დათხოვნას 1924 წლის მარტამდე და დიქტატორულ ხელისუფლების დაწესებას. მეორე მხრივ კი პროლეტარიატი გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელობით ემზადება თანამედროვე მთავრობის დამხობისათვის, ბურჟუაზიულ წესწყობილების განადგურებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. აშკარა ბრძოლა ამ ორ ძალას შორის უკვე დაიწყო.

ვნახოთ ეხლა, როგორია მებრძოლ პარტიების ძალები. დავიწყოთ სოციალ-დემოკრატიიდან. ის იყო ბურჟუაზიის ყველაზე უფრო სანდო დამცველი. სარგებლობდა რა წინანდელ ძლიერი გავლენით პროლეტარიატზე, მას დეზორგანიზაცია შეჰქონდა პროლეტარიატის რიგებში ბურჟუაზიასთან ბრძოლის დროს და იარაღით ხელში არბევდა 1919 წელს საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჯანყებულ მუშებს. ცნობილი ჯალათი ნოსკე—სოციალდემოკრატიულ პარტიის წევრია. რამდენიმე ხნის წინეთ ამ პარტიას ჰყავდა გერმანიის მუშათა კლასის უმრავლესობა, მას ჰყავდა 1.800.000 პარტიის წევრი, მას ხელთ ეპყრა თავისუფალი პროფესიონალური კავშირები, რომლებშიაც 10 მილიონი პროლეტარი ირიცხებოდა რეიხსტაგის არჩევნებზე მან მიიღო 7.000.000 ხმა. ცხადია, რომ ამ პარტიის გამხრწნელ გავლენიდან პროლეტარიატის განთავისუფლების გარეშე პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვება გერმანიაში წარმოუდგენელია. რას წარმოადგენს ეს პარტია დღეს? სოციალ-დემოკრატიულ პარტიის შიგნით სწარმოებს გაფთრებული ბრძოლა კოალიციის მომხრეთა და მისი მოწინააღმდეგეთა შორის. საქსონიაში, ტიურინგიაში, ბერლინ-ბრანდენბურგის ორგანიზაციაში, პომერანიაში, ჰალლეში ოპოზიციას დიდი უმრავლესობა მისდევს. მრავალ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში გამოაქვთ რეზოლიუცია გერმანიის რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატ პრეზიდენტის ებერტის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. ხშირია შემთხვევა, როდესაც მთელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები გადადიან კომუნისტურ პარტიაში, სოციალ-დემოკრატიის ერთი ნაწილი, რომელიც ეხლაც პარტიაში ითვლება, საიდუმლო მუშაობას ეწევა კომუნისტებთან ერთად თავისი პარტიის წინააღმდეგ, მონაწილეობას იღებს საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტებში და კომუნისტებთან ერთად აწყობს პროლეტარულ თავდაცვის წითელ რაზმებს. ამჟამად ყოველივე ეჭვის გარეშეა ის გარემოება, რომ სოციალ-დემოკრატიას არ მისდევს გერმანიის პროლეტარიატის უმრავლესობა. ის არამნიშვნელოვანი ნაწილიც კი, რომელიც ფორმალურათ სოც.-დემ. პარტიაში ირიცხება, ფაქტიურათ მას არ ეკუთვნის. პარტია გაკოტრდა და მორალურათ, პოლიტიკურათ, ორგანიზაციულათ იშლება. მას აღარ აქვს წინანდელი ორგანიზაცია, დისციპლინა და ნებისყოფის მთლიანობა.

ფაშიზმი შესდგება ყოფილ ოფიცერთა დეკლასიურ სამხედრო კასტიდან, სტუდენტობიდან, სოფლის „კულაკებიდან" და, ნაწილობრივათ, გაღატაკებულ წვრილ ბურჟუაზიისაგან. ფაშისტურ ორგანიზაციებს სათავეში უდგანან გენერალი ლიუდენდორფი, ჰინდენბურგი, მაკენზენი, ჰიტლერი და სხვა.

ფაშისტებ შორისაც აგრეთვე არ არის თანხმობა. არიან ფაშისტები-სეპარატისტები, ეს არის უმთავრესად ბავარიელები, რომლებიც მიისწრაფიან ბავარიის გამოყოფისაკენ, რასაც მათ ფაქტიურათ უკვე მიაღწიეს ფონ-კარის დიქტატურით. არიან ამასთანავე, ფაშისტ-პანგერმანისტები, რომლებიც გერმანიის მთლიანობის შენარჩუნებისა და მონარქიის დამყარებისაკენ მიისწრაფიან. მაგრამ, უთანხმოება ამ ორ მიმდინარეობას შორის არც ისე შეურიგებელია, რომ საჭირო მომენტში არ გაერთიანდენ პროლეტარიატის წინააღმდეგ. მათ ჰყავთ არა ნაკლები 150—200 ათასი მეომრისა.

სახალხო პარტია. სტინესის პარტია,—პარტია მსხვილი კაპიტალისა, რომლის პროგრამის შესახებ ჩვენ გვქონდა ლაპარაკი, ფინანსებს აწვდის ფაშისტურ ორგანიზაციებს.

რეიხსვერი (არმია) შეიცავს 200 ათას შავრაზმელს, შავრაზმელ გენერლებისვე მეთაურობით. პოლიცია და შავი რეიხსვერი აშკარა ფაშისტებთან ერთად შეადგენენ 600 ათას კაცს.

კომუნისტური პარტია. პარტია შეიცავს 400 ათას წევრს, მაგრამ პარტიამ რომ ფართეთ გაუღოს კარები ყველა მსურველს, ეს ციფრი სწრაფათ გაიზრდებოდა. პარტიის გავლენა პროლეტარიატზე კოლოსალურია. მას უკვე ემხრობა მუშათა პარტიის უმრავლესობა. **ფაქტები**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს, 9 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზე დანიშნულია ც. კ. საა-
გიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების კოლეგიის

გაფართოებული სხდომა.

დღის წესრიგი:

ომბრის დღესასწაული, 2. მუშათა საერთაშორისო დახმარების სრულიად საქართველოს განყოფილების ორგანიზაცია.

ოწვეულნი არიან: 1) პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართვე-, 2) პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების, 3) კომკავშირის ც. ქალთა განყოფილების, 5) ტფილისის კომიტეტის, 6) ქართული დი-პოლიტგანყოფილების, 7) კავკასიის ცალკე წითელ დროშოვანი არ-ზაკდორპროფსოჟის კულტგანყოფილების, 9) განათლების მუშაკთა, 10) მიწა-ტყის კავშირის, 11) ცეკავშირის და 12) პროლეტკულ-მომადგენლები, 13) რედაქტორები: გაზეთ „კომუნისტის", „მუ-„რაბოჩაია პრავდის", „რკინისგზელის" და „წითელ არმიელის".

ს. კ. პ. ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომიტეტის მუშაობის შედეგები.

მოსკოვი. 8 ოქტომბერი. 7 ოქტომბერს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომთან არსებულ შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ ცენტრალურ კომიტეტის სალიკვიდაციო ამხ. ვინოკუროვმა განაცხადა, რომ შიმშილობის შედეგებთან მებრძოლმა ცენტრალურმა კომიტეტმა თავის მუშაობის განმავლობაში წყაროებიდან მიიღო 4 მანეთზე მეტი ოქროთი და დახარჯა 3 ნახ. მილ. მეტი, უმთავრესად მიუშვების დასახმარებლათ, საქონლის შესაძენათ და საზოგადოებრივ სამუშაოებების მოსაწყობად ინვალიდებისათვის დახმარების მიზნით.

ფულის საშუალებების გარდა სიმშილობის შედეგებთან მებრძოლ ცენტრალურ კომიტეტს ჰქონდა აგრეთვე 5 მილ. ფუთზე მეტი სასურსათო ფონდი, რომელიც დახარჯული იყო იმავე მიზნებისათვის. ახლად დაარსებულ სოფლის მეურნეობის აღდგენის სექციას სიმშილობის შედეგებთან მებრძოლმა კომიტეტმა გადასცა აქტივი 4 მილ. მანეთზე მეტი ოქროთი, მათ რიცხვში ერთნახევარ მილიონ ოქროს მანეთის გაუნაღდებელი საეკლესიო ღირებულებანი. მოხსენებიდან, რომელიც გაკეთებული იყო დამშეულთა დამხმარე საზღვარგარეთელ ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, გამოირკვა, რომ მათ მიერ განაწილებულ ტვირთების საერთო ჯამი უდრის 42 მილ. ფუთს, რაც შეადგენს 171 მილ. მანეთს ოქროთი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ის პროდუქტების გაზიდვა.

. 7 ოქტომბერი. 4—5 ოქტომ- გაზიდულია ნავთის პროდუქტი: დან ასტრახანში მუქი ნავთი—19,519 ფუთ, ბაქოდან კრასნოვოდსკში მუქი ნავთი—152,996 ფ., იდან ასტრახანში — 205,000, ამხ. არტემის სახელობის რიდან ასტრახანში—138,887.

თურქული ჟურნალი.

ბაქო. 7 ოქტომბერი. განათლების ო კომისარიატის კოლეგიამ კიცა ხარჯთ-აღრიცხვა თურქული ჟურნალის „კულტურა და განათლება"-ს გამოსაცემათ. ეს ჟურნალი ოდ დაეთმობა ყველა სკოლებს ში.

პოლკის იუბილე.

ბაქო. 7 ოქტომბერი. აზერბეიჯანის დივიზიის მე-2 მსროლელთა მა იდღესასწაულა თავისი იუბილე. გაიმართა პარადი, რომელზედაც განჯის სამაზრო აღმასკომმა პოლკს წითელი დროშა მიართვა.

შეფების დახმარება.

ბაქო. 7 ოქტომბერი. აგვისტოს განმავლობაში აზდივიზიის ნაწილებმა თავისი შეფებისაგან მიიღო 1.637.044.000 მანეთი ამიერ-კავკ. ბონებით, 275 ჩერვონეცის მანეთით და 15 ჩერვონეცი.

მუშათა ბინები.

ბაქო. 7 ოქტომბერი. ბაქოს აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე განხილული იყო საკითხი სახელმწიფო კასპიის გემთა მიმოსვლის მუშებისათვის ბინების დარიგების შესახებ. კასპიის გემთა მიმოსვლის სამმართველოს წინადადება მიეცა უახლოეს ვადაში შეუდგეს იმ სახლების შეკეთებას, რომელზედაც მას მიუთითა ქალაქის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებამ.

ბაქოს საბჭოს არჩევნები.

ბაქო. 7 ოქტომბერი. ბაქოს საბჭოს არჩევნების დღეთ დანიშნულია 30 ოქტომბერი.

ფილისის საქონლისა და საფონდო ბირჟის წევრთა საზოგადო კრება

ირას, ოქტომბრის 7-ს, დილის საათზე, ბირჟის შენობაში შესდგა ლისის საქონლისა და საფონდო ის წევრთა საზოგადო კრება ელის თავმჯდომარეობით. დღის იგში იყო: 1) მოხსენება ბირჟის საქმიანობის შესახებ; 2) მოხსენება ამიერკავკასიის საბირჟო კონფერენციის შესახებ; 3) მოხსენება სამოქალაქო ავიაციის შესახებ; 4) საბირჟო კომიტეტის წევრისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ბირჟის მუშაობა.

ბირჟის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ჩხენკელი: პირველი საერთო კრებაო, ამბობს მომხსენებელი, ა/წ. აპრილის 21-ს შესდგა და ეს იყო დრო განსაკუთრებული კრიზისისა ვალიუტის მხრივ. კრიზისის გამო ჩვენ წინ დაისვა საკითხი ოქროს ბრუნვის მოწესრიგების და მისი შეზღუდვის. ოქროს გაძევება ბაზრიდან სავსებით შეუძლებელი იყო, მაგრამ საბირჟო კომიტეტის აზრით მისი გაძევება ანგარიშის გასწორების ოპერაციებიდან კი შესაძლებელი იქნებოდა. საამისო ინიციატივა ბირჟამ იკისრა და შუამდგომლობა აღძრა ფინანსთა სახალხო კომისარიატის წინაშე ანგარიშების ჩერვონცზე გადასატანათ და ამრიგად ოქროს ბრუნვის შესავიწროებლად. შუამდგომლობას შესაფერი დეკრეტი მოჰყვა. საკითხის მოგვარებაში დიდი მნიშვნელობის დახმარება გაგვიწია რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკმა, რომელიც ჩერვონცის კურსს შედარებით მტკიცედ ინახავდა და ხელს უშლიდა მის სწრაფ აწევ-დაწევას. სახელმწიფო ბანკი ამ მხრივ სრული კონტაქტით მუშაობდა საბირჟო კომიტეტთან.

საბირჟო კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ჩერვონეცის კურსი განმტკიცებულიყო; ამასათვის მოეწყო ჩერვონეცის კურსის დაუყოვნებლივი შეტყობინება მთელ ქალაქში. ნერვიულობის გასაფანტავათ და იმისათვის, რათა დამყარებული კურსი მთელი დღის განმავლობაში ურყევად დარჩენილიყო, წინა დღით დამყარებული კურსი მეორე დღისათვის გამოვაცხადეთ სავალდებულოთ. ამით საგრძნობელ სასურველ შედეგებს მივაღწიეთ.

რადგან სახელმწიფოებრივი ორგანოები და საზოგადო დაწესებულებანი საკომერციო ოპერაციებს უმთავრესად ბირჟის გარეშე აწარმოებდენ, საბირჟო კომიტეტმა ჯერ კიდევ აპრილში შუამდგომლობა აღძრა, რათა ყველა ბირჟის გარეშე დამყარებული გარიგებანი რეგისტრაციაში გატარებულიყვენ. 28 ივლისს ა./წ. გამოიცა საამისოდ შესაფერი დეკრეტი და შემდეგში ინსტრუქციაც.

საბირჟო კომიტეტმა მიიღო მთელი რიგი ღონისძიებათა საბირჟო საქმის წესიერად დაყენებისათვის: აღძრულ იქნა შუამდგომლობა ამ.-კავკასიის ფინსახკომის წინაშე სავალიუტო გარიგებებზე საღერბო გადასახადების შემცირების შესახებ; საღერბო გადასახადები შემცირებულ იქნა და ამან კი ბირჟისაკენ მიიზიდა სავაჭრო-სამრეწველო წრეები. გაუმჯობესებულ იქნა საინფორმაციო საქმეც და ბიულეტენების გამოშვება. ამ მხრივ ჩვენი ბირჟა მოსკოვის ბირჟის მსგავსად არის მოწყობილი. შეიქმნა საექსპერტო კომისია, რომელმაც სულ 27 ექსპერტი მოახდინა 27.000 მანეთის (ჩერვონცებით) ჯამის. კომისიის შემადგენლობის გასაუმჯობესებლად ზომები არის მიღებული ახლების მოწვევით.

ყველა მიღებულმა ზომებმა გარიგებათა რიცხვი საკმაოდ გაზარდა. მთავარი ვალიუტა ბირჟაზე ჩერვონნეცი და სტერლინგები არის, საქონლებში კი ქსოვილები და სასოფლო-სამეურნეო ნედლი მასალა.

ხარჯების და გადასახადების ჩერვონეცზე გადასვლა საშუალებას იძლევა მთლიან ვალიუტაზე იქნას დამყარებული ოპერაციები; ის საშუალებას მისცემს აგრეთვე ჩვენს ეკონომიურ ორგანიზაციებს მტკიცე ბიუჯეტის და ბალანსის გამოსამუშავებლად. ფასების მოძრაობის თვალყურის სადევნელად დაჭერილია კავშირი ტელეგრაფით სხვადასხვა ბირჟებთან. კომიტეტი მალე გამოსცემს საკუთარ ორგანოსაც, რომელიც სინამდვილისაგან წამოჭრილ კითხვებს გააშუქებს.

კონფერენციის დადგენილების თანახმად მოწყობილი იქნება აგენტურები პერიფერიებში. კომერციულ განათლების საქმის დასახმარებლად კომიტეტმა გადასწყვიტა დახმარება გაუწიოს ხონის მექანიკურ ტეხნიკუმს თვიურად 20 ჩერვონეცით, 1 ოქტომბრიდან.

კომიტეტის მიერ მიღებულია ზომები საქმიანი კლუბის გასახსნელად. სპეციალური კომისიის მიერ უკვე გამომუშავებულია წესდების პროექტი და მალე მოწვეული იქნება სავაჭრო-სამრეწველო წრეების სპეციალური თათბირი საკითხის საბოლოო გადასაჭრელად. საერთოდ, ბირჟის საქმიანობა გაცილებით უფრო ნაყოფიერი და საყურადღებო იყო საანგარიშო პერიოდში, ვიდრე წინად.

რეზოლიუცია.

მოხსენების გამო მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: საერთო კრებამ, მოისმინა რა ამხ. ჩხენკელის მოხსენება ბირჟის მოქმედების შესახებ, სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნობს მას და მისი მუშაობის ხაზს სწორად აღიარებს.

(შემდეგი იქნება).

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(8 ოქტომბერი).

ჩერვონცები — — —	58,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	52,700
ჩეკები —	49,500
დოლარები ეფექტ. —	12,000
ოსმ. ქაღ. ლირა	6.700
იტალიური ლირა	350
ფრანგული ფრანკი	520
საბჭ. ფულის ნიშნები	13

ბირჟის მიწოდება.

(6 ოქტომბერი).

ლურსმნები. ფხვნილი შაქარი (ყვითელი) ცენტროკავშირის ჩაი. აბრეშუმი (დაურთავი) ტყის მასალა. იტალიური მანუფაქტურა კრასნოდარის მაკარონი. საწერი ქაღალდი და კარტონი. კანაფი და თოკები. მატყლი ქიმიური ნაწარმოები. კაუსტიური სოდა. ასანთი რუს. საპონი. ცემენტი და ეტერნიტი. ევკალიპტის ზეთი ბორჯომის კანიფოლი. რკინეულობა ურალის.

ბირჟის მოთხოვნილება.

(6 ოქტ.)

ძელქვა. რკინეულობა ურალის. აბრეშუმი დაურთავი. შეშა, ასანთი რუს. ჩაი. ნედლი ტყავები. ქვა-მარილი ნახიჩევანის და ბახმუტის. სიმინდი სიმინდის ფქვილი. მატყლი.

ოფიციალური გარიგებანი

(6 ოქტომბ.)

ქვა-მარილი ნახიჩევანის 1 მან. 10 კაპ. ფუთში ფრანკო ტფილისი—ვაგონი. რუსეთის მანუფაქტურა (ქაღ.) პრეისკურანტის ფასებით.

ლინში, — სოციალ-დემოკრატიის ტრში აგვისტოს დასაწყისში, მეტალისტთა პროფკავშირის არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 600 ხმა. კომუნისტებმა კი 000 ხმა. გერმანიის ყველა მსხვილ ტრში კომუნისტებმა გაიმარჯვეს მეტი გამარჯვება კომუნისტებმა მოიპოვეს საფეიქრო მუშებში არჩევნების დროს; იგივე ხდება უფრო შორეულ ოლქებში სეიმ-ლანდტაგის არჩევნებზე. კომუნისტების მიერ მოწვეულმა საყოველთაო გაფიცვამ ს ჩამოგდების დროს 90 პროც. მარჯვა სოციალ-დემოკრატების პროფკავშირთა ბიუროკრატიის და ლა ბურჟუაზიულ პარტიების გააფთრებულ წინააღმდეგობის მიუხედავათ. ყველა საგაფიცვო კომიტეტებში, მთელს გერმანიაში მუშები ევენ მხოლოთ კომუნისტებს. გერმანიიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობების თანახმათ, გერმანიის პროლეტარიატის დიდი უმრავლესობა მხარს უჭერს კომუნისტების ლოზუნგებს. მოგანოებულ წვრილ ბურჟუაზიის და ინტელიგენციის წრეებშიაც თანაგრძნობით ხვდებიან ჩვენი ამხანაგების გამოსვლებს. სწორი პოლიტიკა ეხების მიმართ აჭარწყლებს პროვოკაციას გლეხებს შორის, რომლებსაც არწმუნებენ, რომ მუშები წაართმევენ მათ სასოფლო მეურნეობის წარმოებებს.

კომუნისტურ პარტიის ხელში და გავლენის ქვეშ იმყოფება პროლეტარულ თავდაცვის 400 ათასი ღებული. გერმანიის კომუნისტური პროლეტარიატი გიგანტურ ძალას წარმოადგენს. გერმანიაში გვყავს 15.000.000 სამრეწველო მუშა და 6 ნახევარი მილიონი სოფლის მუშა. ამ რიგათ კომპარტია შედის ბრძოლაში რამდენიმე მილიონ მუშებთან ერთათ. უკანასკნელ ცნობების თანახმათ საქსონიის ტურინგიის პროლეტარიატი ლოვნათ ეხმარება კომინტერის მიერ წამოყენებულ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დაუყოვნებლივ დამყარებისა რეაქციის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნის ლოზუნგებს. პროლეტარიატის გავლენით საქსონიის სოციალ-დემოკრატებიც იძულებულნი იან დაემორჩილონ მუშათა მთავრობებს და იქ არსდება კოალიციის მთავრობები სოციალ-დემოკრატებისა და კომუნისტების მთავრობა. ხემნიცში, ჰანბურგში, ლეიპციგში და სხვა ადგილას არსდება მოქმედების კომიტეტები რეაქციასთან საბრძოლველათ კომუნისტების ხელმძღვანელობით.

გადამწყვეტი ბრძოლა

გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო. რამდენ ხანს გაგრძელდება იგი, ან რამდენათ სწრაფათ იწარმოებს იგი-ძნელი სათქმელია. ჩვენ არა გვაქვს არავითარი რწმენა, რომ სოციალ-დემოკრატია, რომელსაც მარცხნივ გადმოხრა ემჩნევა, კვლავ არ გასცემს მუშას, მაგრამ გერმანიის პროლეტარიატის გამარჯვებაში ეჭვი არ შეაქვთ ჩვენს მტრებსაც, მაგრამ ისინი თავს ინუგეშებენ მით, რომ პროლეტარიატი ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას...

სწორეთ ასევე ინუგეშებდა თავს ბატონი წერეთელი 1917 წელს ოქტომბრის რევოლიუციის წინა დღეებში და ამტკიცებდა, რომ ჩვენ ვერ შევინარჩუნებთ ძალაუფლებას 2 კვირაზე მეტ ხანს.

როგორც ხედავთ, იგი უდიდესი წინასწარმეტყველი ყოფილა.

4 კვირის შემდეგ ჩვენ ვიდღესასწაულებთ 6 წლის თავს და აქვე გერმანიის გასაბჭოებასაც (ტაში). ეხლახან მიღებული რადიო იუწყება, რომ დახურულ გაზეთის „როტე ფანეს", „წითელი დროშის" ნაცვლად, გამოვიდა „წითელი მებრძოლი დროშა" (ტაში). ბერლინის მბეჭდავთა კრებამ მოითხოვა თავის კავშირისაგან კომუნისტური პრესის აკრძალვის გაუქმება, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშაობის შეწყვეტით იმუქრებოდენ (ტაში).

რევოლიუცია გაიმარჯვებს

გერმანიის პროლეტარიატი გამარჯვებული გამოვა ბრძოლიდან (ტაში). დაბრკოლებანი დიდია, მაგრამ დიდია ძალაც ოც მილიონიან პროლეტარიატის. თუ რუსეთის რევოლიუციამ შეარყია მთელი ბურჟუაზიული მსოფლიო, გერმანიის პროლეტარული რევოლიუცია კიდევ უფრო მეტ ენტუზიაზმს გამოიწვევს მთელი მსოფლიოს მრავალ ასეულ მილიონ მუშებს შორის და დაამხობს მთელ ბურჟუაზიულ მსოფლიოს (ტაში).

რევოლიუცია და იმპერიალისტები

გერმანიის რევოლიუციას დაემუქრება საფრანგეთიც, ინგლისიც და პოლონეთიც. თვითეული ამ სახელმწიფოთაგანი შეეცდება ისარგებლოს ამით და ხელში ჩაიგდოს გერმანიის მიწაწყალის ესა თუ ის ნაწილი, ხელს შეუწყობენ შინაურ კონტრრევოლიუციას და ერთად თავს დაესხმიან პროლეტარულ გერმანიას. პროლეტარულ გერმანიაში იქნება საკუთარი კონტრ-რევოლიუციონური დონი, ყუბანი,—ბავარია, აღმოსავლეთ პრუსია, მაგრამ გერმანიის პროლეტარიატიც შექმნის თავის გმირულ წითელ არმიას, რომელიც დაამხობს ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციას (ტაში). თუ კერზონი იძულებული იყო, ინგლისის მუშათა კლასის ზეგავლენით, უარი ეთქვა ჩვენთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმებაზე, არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ინგლის-საფრანგეთის პროლეტარიატი ნებას მისცემს თავის ბურჟუაზიას ჩააქროს გერმანიის რევოლიუცია.

საბჭოთა რესპუბლიკები და გერმანიის რევოლიუცია.

ამხანაგებო, მომავალი გერმანიის რევოლიუცია აყენებს საბჭ. რესპ. კავშირის წინაშე საკითხს მოახლოვებულ ამბებისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ. ჩვენ ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ გერმანიის რევოლიუციის დამარცხების და იქ თეთრი ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მეორე დღესვე წამოვლენ ჩვენზე რევოლიუციის მტრები, რათა დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება; რათა დააბრუნონ უკან ძველი მემამულეები, ძველი კაპიტალისტები; ისინი წაართმევენ მიწებს გლეხებს, მუშებს—ქარხნებს, დაარსებენ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ნაცვლად მონარქიულ, იმპერიალისტურ განუყოფელ სახელმწიფოს. ძნელად მოიპოვება ჩვენ შორის ისეთი, რომელიც თავის ნებით დაუშვებს ამას. გერმანიის მომავალი დიდი რევოლიუცია აყენებს ჩვენ წინაშე დიად ამოცანებს: საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დაცვა და გერმანიის პროლეტარიატის დახმარება. თუ ჩვენ არ გვინდა გავხდეთ მსხვერპლი იმპერიალისტურ მტაცებლების, უნდა ვიყოთ მზად ჩვენი ქვეყნის დაცვისათვის. ხელახლა ჩვენი ყურადღება უნდა იქნას მიპყრობილი წითელი არმიის გაძლიერებისაკენ (ტაში). თუ მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ვილტვით მშვიდობიანობის დაცვისაკენ, ჩვენი კავშირის მეურნეობის აღორძინებისაკენ გერმანიის რევოლიუციის მტრები თავს და ესხმიან ჩვენს კავშირს, ჩვენ უნდა უპასუხოთ მათ წითელი არმიის ფოლადის ხიშტებით. (მქუხარე ტაში). გაუმარჯოს ძლევამოსილ პროლეტარულ რევოლიუციას გერმანიაში; გაუმარჯოს საბჭოთა გერმანიას! (ტაში) დეე იცოდენ ჩვენმა მტრებმა, რომ ჩვენი წითელი არმია არვის არ დაუთმობს საბჭოთა მიწის არც ერთ მტკაველს! (მქუხარე და ხანგრძლივი ტაში).

რეზოლიუცია

მოისმინა რა ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭო, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, ადგილკომების, პროფკავშირთა გამგეობების და ჯარების ორგანიზაციების თანდასწრებით, მხურვალე სალამს უგზავნის გერმანიის პროლეტარიატს პროლეტარულ რევოლიუციისათვის მისი გმირული ბრძოლის დღეებში. გერმანია სდგას ოქტომბრის რევოლიუციის წინ. მსოფლიო ფაშიზმი აგროვებს თავის ძალებს გერმანიის რევოლიუციონურ პროლეტარიატის გასანადგურებლად

გერმანიის მუშების გამარჯვება და საბჭოთა სოციალ-რესპუბლიკების კავშირთან კავშირის დამყარება შექმნის მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის ურყევ საფუძველს. გერმანიის პროლეტარიატის დამარცხება გააძლიერებს მსოფლიო ფაშიზმს, რომელიც გაერთიანებული ძალღონით გადავა შეტევაზე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის კავშირის წინააღმდეგ. ტფილისის საბჭო მოუწოდებს ტფილისის პროლეტარიატს და საქართველოს ყველა მშრომელებს თავი მოუყარონ ყველა ძალებს გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლად, და საბჭოთა კავშირის დასაცავად.

ყველაფერი გერმანიის რევოლიუციის გამარჯვებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა გერმანიას, გაუმარჯოს მსოფლიოს სოციალისტურ რევოლიუციას!

„ახალგაზრდა მარქსისტების" დაშლა

სრულიად საქართველოს „ახალგაზრდა მარქსისტთა" კონფერენცია.

სრულიად საქართველოს ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის კონფერენცია **მოწვეულია 28 ოქტომბერს.** მაზრებში, სადაც არ ჩატარებულა სამაზრო კონფერენციები, საინიციატივო ბიუროებს ევალება რაც შეიძლება დააჩქარონ კონფერენციები ყრილობისათვის. ყოველი 50 კაცი გზავნის 1 დელეგატს ყრილობაზე.

სრულიად საქართველოს ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტების საინიციატივო სალიკვიდაციო ბიუროს თავმჯდომარე ალ. ცინცაძე

წევრები: გიორგაძე, კაპანაძე, პაიჭაძე, სიხარულიძე, ლომთათიძე, ხანაძე.

ტფილისის მე-2 რაიონის „ახალგაზრდა მარქსისტთა" კონფერენცია.

ტფილისის მე 2-ე რაიონის ყოფილ ახალგაზრდათა ორგანიზაციის **რაიონული კონფერენცია შესდგება პარასკევს, 12 ოქტომბერს,** ცენტრალურ მუშათა კლუბში.

დღის წესრიგი: 1. პარლამენტარული დემოკრატია თუ პროლეტარიატის დიქტატურა, — მომხსენებელი ალ. ცინცაძე, 2. ეროვნული საკითხი, მომხსენებელი გ. გიორგაძე, 3. სრულიად საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობის შედეგები,—ა. რუხაძე, 4. მიმდინარე საკითხები, 5. დეკლარაცია.

ტფილ. მე-2-ე რაიონის ყოფ. ახალგ. მარქსისტთა საინიციატივო ბიურო.

„ახალგაზრდა მარქსისტების" განცხადებანი

I

12.000 მუშასთან და გლეხთან, საქართ. მთელ რევოლიუციონურ ძალასთან, რევოლიუციის ქარცეცხლში გამოვლილ მებრძოლებთან ერთად არ შეუძლიან თავისი სიტყვა არა სთქვას ქართველ რევოლიუციონურ ახალგაზრდობის იმ დიდ ნაწილს, რომელიც იმყოფებოდა მენშევიკების გავლენის ქვეშ. ქართველი რევოლიუციონური ახალგაზრდობის სული მღელვარეა, რომ ძალიანაც სურდეს, იგი ერთს ადგილზე ვერ გაჩერდება, ვერ გაიყინება, და მთელ მსოფლიოს გასაგონად იტყვის უეჭველად თავის სიტყვას, ეს სიტყვა იქნება ჭეშმარიტად რევოლიუციონური, სიტყვა რკინის, სიტყვა ფოლადის.

ეს ნაწილი ქართველ ახალგაზრდობის თუ რად იყო ამცდარი ასე რევოლიუციონურ მარქსიზმს, თუ რად მიიღო ასეთი სახე მან, ამის მიზეზები თქვენც მოგეხსენებათ. რა პირობებში იმყოფებოდა იგი, რითი იკვებებოდა, რა მდგომარეობაში ვითარდებოდა და ბოლოს როგორ შოვინისტურ სკოლაში მოექცა იგი. მან ეს ვერ აიცილა, შეუძლებელი შეიქმნა მისთვის ამის აცდენა.

მართალია, ერთმა ნაწილმა საქართველოს რევოლიუც. ახალგაზრდობისა, რომელიც ამჟამად წარმოადგენს ახ. კომუნ. კავშირს, თავიდანვე აირჩია სწორი გზა, მისი ყოველი ნაბიჯი გამოდგა მიზანშეწონილი; მაგრამ მეორე ნაწილს ამისი საშუალება არ ჰქონდა. აი, ახლა ქართველ ახალგაზრდობას ეძლევა საშუალება შესდგეს ნამდვილ რევოლიუციონურ გზაზე და თავის ამხანაგებთან ერთად გადაეშვას რევოლიუციის მღელვარე ტალღებში. საქართველოს ახალგაზრდობამ ამისათვის უკვე დაიწყო მზადება, სდგება კონფერენციათა საინიციატივო ჯგუფები, იმართება კონფერენციები, და ვისაც სწამს საბოლოოდ მუშა-კლასის გამარჯვება, სწამს რევოლიუცია და სჩქეფს მასში მისდამი ღრმა სიყვარული და თავგანწირულია, უეჭველად თავის ხმას შეუერთებს ამ კონფერენციებს. ახლა უკან დადგება მხოლოდ ის, ვინც დაავადებულია პარტიული ქინიანობის სენით და იმყოფება მხოლოდ ლპობის პროცესში. ახლა დადგება უკან ის, ვისაც თავის თავი თითონ არა ჰქავს ხელში.

თუ ვინმე ჩერდება ეხლა, ეს მორიდების და ერთგვარი ქინიანობის წყალობით, რომელსაც ჩქარა უკუაგდებს.

პირადათ მე, რადგანაც არ მსურს საბჭოთა ხელისუფლება მთვლიდეს თავის მტერთა ბანაკში, რადგანაც მწამს საბოლოოდ მუშა კლასის გამარჯვება, რადგანაც მეც მსურს ერთი აგური მივიტანო იმ აღთქმის ქვეყნის აშენებაში, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება, რადგანაც არ მსურს ჩამოვრჩე ჩემს ამხანაგებს, რევოლიუციას და მსურს ჩემი ხმა შეუერთო იმ 12000 მუშასა და გლეხს, რომელსაც ქართველი ახალგაზრდობა გააოცათასებს, ამიტომ: 1) ვითვალისწინებ რა წარსულსა და აწმყო მდგომარეობას საქართველოსას და საერთოდ საბჭოთა რესპუბლიკებისას, 2) გადავავლე რა თვალი რუსეთის რევოლიუციის ყველა პერიოდებს, 3) გაუკეთე რა ანალიზი ყველა ანტი-საბჭოთა პარტიების მოქმედება-მუშაობას, 4) ნათლად ვხედავ რა საბჭოთა ხელისუფლების და კომ. პარტიის მოქმედება-მუშაობას, 5) შევადარე რა თუ რომელი გზა სჯობია მუშათა კლასისათვის, რომელია უფრო მისთვის მისაღები, რომელ გზით მიაღწევს იგი გამარჯვებას, ბურჟუაზიასთან კავშირით, თუ პროლეტარიატის დიქტატურით და 3 ინტერნაციონალის დროშის ქვეშ სიარულით,—სრულიად შეგნებულად, მთელი ჩემი არსებით ვწყევლი ჩემს პატარა წარსულს, გაუგებრობით მოცულს, ვნანობ თუ ერთი ნაბიჯის გადადგმა მაინც მომიხდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, და სრულიად გადახალისებული გრძნობით, [illegible] სულითა და გულით ვდგები საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე მტკიცეთ. ამის შემდეგ ჩემი მიზანია ჩაბმა საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობაში, მისი განმტკიცება-გამაგრებისათვის მუშაობა მთელი ჩემი ძალღონით.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას და მის გენიოსს **ლენინს.**

გაუმარჯოს მე-3 კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს გაყრილ ძმათა გაერთიანებას და გამაერთიანებელთ.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მისი სადარაჯოზე მდგომ ახალგაზრდობას.

გაუმარჯოს საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა კონფერენციებს!

შ. იმედაშვილი.

II

ამხ. რედაქტორო, გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთის უახლოეს ნომერში მომითავსოთ შემდეგი:

მე, ამაზე ხელის მომწერი, საქართველოს გასაბჭოებამდე ვირიცხებოდი ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში, გასაბჭოების შემდეგ არავითარი კავშირი არ მქონია მასთან, რადგან დავრწმუნდი, რომ ის არ იყო მუშათა კლასის ინტერესების დამცველი, „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით"-ს მანტიაში იყო გახვეული და ისე კი ანტი-პროლეტარულ საქმეს აკეთებდა, რომელიც უფსკრულისაკენ მიაქანებდა მშრომელ მასას. ერთხელ და სამუდამოდ ვგმობ წინანდელ შემცდარ გზას და ვდგები ნამდვილ მარქსიზმის, პროლეტარულ საქმიანობის ნიადაგზე და კომუნისტებთან ერთად ხელს შეუწყობ საბჭოთა ხელისუფლების გამაგრებას.

ლავრენტი ბ. ტულუში.

პროფკავშირებში

მიწა-ტყის კავშირში

სამკითხველო მუშებისათვის.

პრეზიდიუმის დადგენილებით წინადადება მიეცა კულტგანყოფილების გამგეს ბინუკიძეს გახსნას ვერის ბაღ-ბოსტნებში მომუშავე მუშებისათვის სამკითხველო.

მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სახალხო მამულების სამმართველოს, დაუყოვნებლივ მისცეს ყულარის მამულის მუშებს სპეც-ტანსაცმელი და აგრეთვე კუთვნილი ჯამაგირი. ამასთანავე დაევალა მამულის გამგეს შეიძინოს მამულის თანხებიდან შეშა და მისცეს მუშებს შეღავათიან ფასებში. კულტგანყოფილებას დაევალა გამოუწეროს მამულის მუშებს გაზეთები და საერთოდ გააფართოვოს მუშებში კულტურული მუშაობა.

სკოლის გახსნა.

პრეზიდიუმმა დაავალა კულტგანყოფილებას ორთაჭალის განყოფილების ბაღ-ბოსტნის მუშებისათვის წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად, გახსნას სკოლა და აგრეთვე გამოუწეროს ხსენებულ მუშებს გაზეთები.

სასოფლო-სამეურნეო განყოფილება.

პირველ ენკენისთვიდან დაარსდა სასოფლო-სამეურნეო განყოფილება, რომელიც აერთებს ყველა საცდელ და სამეურნეო დაწესებულებებს, ბოტანიკურ ბაღებს, მაზრის აგრონომიულ განყოფილებებს და სხვ.

სხვადასხვა კავშირებში

განათლების მუშაკთა სახლში.

განათლების მუშაკთა კავშირის გორის განყოფილება ხაშურში აწყობს განათლების მუშაკთა სახლს. განათლების მუშაკთა კავშირის ცენტ. გამგეობამ გამოიტანა დადგენილება გორის განყოფილებისათვის ლიტერატურის შესაძენად 500 მილიონი მანეთის მიცემის შესახებ ცენტრალური სახლის ბიბლიოთეკისათვის.

დახმარება უმუშევარ მელითონეებს.

მელითონეთა კავშირის პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება კავშირის უმუშევარ წევრთათვის დახმარების შესახებ. თითოეულ წევრს მიეცემა 5 მილიონ 700,000 მანეთი უმუშევრის ოჯახის თითოეულ წევრზე.

დახმარება უმუშევრებს.

განათლების მუშაკთა კავშირი საკმაო დახმარებას უწევს კავშირის უმუშევარ წევრებს სადილის, პურის და ფულის (4—5 მანეთის რაოდენობით) მიწოდებით.

მეცნიერება და ტექნიკა

კლიმატიური ცვლილებები დასავლეთ ევროპაში.

ბრიტანეთის მეტეოროლოგიურმა საზოგადოებამ გამოაქვეყნა პროფ. ბრუკსის წერილი ევროპაში კლიმატიური ცვლილებების შესახებ.

ბრუკსის აზრით უკანასკნელათ ყინულის პერიოდი დედამიწაზე იყო 30000-დან 18.000 წლამდი ქრისტეს დაბადებამდე.

შემდეგ კლიმატიურ პერიოდებს ბრუკსი ასეთნაირად ჰყოფს:

1. 18000—6000 წ. (ქრისტეს დაბადებამდე) იყო ცივი კონტინენტალური ჰავა, იხდებოდა ყინვის დნობა.

2. დაახლოვებით 6000 წლამდე ქრისტეს დაბადებამდი შესწყდა კავშირი ბალტიის ზღვასა და ატლანტიის ოკეანეს შორის. სკანდინავიისა და ფინეთის ჰავა უმთავრესად კონტინენტალური შეიქნა. ამ პერიოდის დასასრული განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო ტყეების ზრდისათვის.

3. დაახლოებით ქრისტეს დაბადებამდი 4000 წლით ადრე ატლანტის ოკეანეს წყლები სკანდინავიის ნახევარ კუნძულის ზედაპირის დაწევის გამო კვლავ შეიჭრენ ბალტიის ზღვაში. ამ დროს ბალტიის ზღვას უფრო მეტი სივრცე ეჭირა, ვიდრე ეხლა. კონტინენტალური ჰავა შეიცვალა ზღვის, უფრო თბილი ჰავით გაჩნდენ ვეებერთელა ტორფის ჭაობები.

4. ქრისტეს დაბადებამდი სამი ათასი წლით ადრე, დიდი ბრიტანეთის სამხრეთ ნაწილში და ევროპის სხვა ადგილებში კვლავ ამაღლდა მიწის ზედაპირი. ჰავა უფრო მშრალი გახდა, ირლანდიაც კი ტყით დაიფარა. მრავალი ჭაობი ამოშრა და ამ ადგილებზე ტყეები გაიზარდა. ამჟამად ჭაობების ძირში ნახულობენ იმ დროის ხეების ნაშთებს. ამ დროს ეკუთვნის „ბრინჯაოს საუკუნის" ადამიანის ნაშთები.

5. 1800 წლის წინ ქრისტეს დაბადებამდი დედა-მიწის ზედაპირმა კვლავ დაიწია დღევანდელ დონემდე, შესაძლოა უფრო დაბლაც. ეს დრო იყო ქარიშხალის და დიდი წვიმების პერიოდი. ევროპის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ჰავა გაუარესდა, ცივი და ნესტიანი გახდა: ტყეები გაქრენ და მათი ადგილი ჭაობებმა დაიჭირა.

6. სრულიად ერთბაშათ, ქრისტეს დაბადებამდი სამასი წლის წინა პერიოდი გადავიდა იმ ხანაში, რომელიც დღემდი გრძელდება. ჰავა უფრო მშრალი და თბილი გახდა, ტორფის ჭაობების სივრცე შემცირდა.

ქრონიკა

— **მისალმება საპატიო მეცხვარეს ფილიპე მახარაძეს.** გიაურ-არხის გლეხობამ, როგორც წევრმა მეცხვარეთა და მესაქონლეთა საზოგადოებისა „ბარლიკ" აგირჩიათ თქვენ საპატიო დელეგატათ საზოგადოების ყრილობაზე, რომელიც შესდგება 7 ოქტომბერს ტფილისში და გთხოვთ თქვენი მონაწილეობით გააჯანსაღოთ ყრილობის მუშაობა.

— **მიწის ძვრა.** 7 ოქტომბერს 6 საათზე და 43 წ. საქარ. ფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფების მიერ აღნიშნულია შორეული საკმაოდ ძლიერი მიწის ძვრა, მიმართულება სამხრეთ-დასავლეთით. ეპიცენტ. მანძილი უდრის 10,000 კილომეტრს (ალბად, ანტილის კუნძულები – ამერიკაში) 7 ნოემბერს 4 საათზე 18 წუთ. სეისმოგრაფებმა აღნიშნეს ადგილობრივი მიწის ძვრა, სუსტი მიმართულება სამხრეთ-აღმოსავლეთით (ბორჩალოს მაზრა).

— **ლექციები.** დღეს 9 ს და ხვალ 10 ოქტომბერს რუსთაველის თეატრში შესდგება ევროპიდან ჩამოსულ ა. ვ. ბობრიშჩევ—პუშკინის და ი. მ. ვასილევსკის (ნე-ბუკვა) მხოლოდ ორი ლექცია, შემდეგ თემებზე: 1) „ევროპა დღეს (ჩვენები საზღვარგარეთ) 2) „დამხობილი კერპი მეფე ნიკოლოზ 2 და მომავლის რელიგია".

— **ახალქალაქის მაზრის აღმასკომის შუამდგომლობა.** სრ. საქ. ცენტრ. აღმ. კომიტ. პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა ახალქალაქის მაზრის აღმასკომის შუამდგომლობა კურორტ „შოვის" სასარგებლოთ 10 პროც. გადასახადიდან განთავისუფლების შესახებ, უსახსრობის გამო.

— **ფერეიდანელ ქართველის ს. იოსელიანის შესახებ.** სპარსელ ქართველის სეიფოლა იოსელიანის ფერეიდანში დასაბრუნებლათ სრ. საქ. ცენტრ. აღმ. კომიტ. პრეზიდიუმმა გადასდო 300 მან. ჩერვონეცით.

— **დეზერტირების წინააღმდეგ ბრძოლა.** სრ. საქ. ცენტ. აღმასკომის პრეზიდიუმმა მიიღო პროექტი დეზერტირების და სამხედრო სამსახურის თავის ამრიდებელთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

— **სახალხო სასამართლოები.** იუსტიციის სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა სრ. საქ. ცენტრ. აღმასკომის წინაშე, რათა მას ნება მიეცეს გახსნას დამატებითი სახალხო სასამართლოები ახალქალაქში და სურამში.

— **მცირე წლოვან დამნაშავეების შესახებ.** სრ. საქ. ცენტრ. აღმასკომმა დაამტკიცა პროექტი შესახებ მცირე წლოვან და არა სრულ წლოვან დამნაშავეთა დასჯისა.

— **ფიზიკურათ მომუშავე დამნაშავეთა სასჯელის ვადა.** სრ. საქ. ცენტრ. აღმ. კომიტ. პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილების პროექტი მძიმე ფიზიკურ საქმეებზე მომუშავე დამნაშავეთათვის სასჯელის ვადის ერთი-მესამედით შემოკლების შესახებ.

— **ფილოქსერის წინააღმდეგ საბრძოლველათ.** სოფ. საგარეჯოს მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს მიწად-მოქმედების კომისარიატის დახმარებით—მოაწყონ ვენახების სათბობი საშუალებები რიხტერის სისტემით ფილოქსერას წინააღმდეგ საბრძოლველათ.

— **ბამბის მოსავალი** ყარაიაზის და ბორჩალოს მაზრებში ბამბის მოკრება უკვე დაიწყეს. დაახლოვებით გლეხების პლანტაციებზე ბამბის მოსავალი აღწევს 80—85 ფუთს დესეტინაზე.

— **გლაუბერის მარილის გატანა საზღვარგარეთ.** „არკოსის" სააქციონერო საზოგადოებას განზრახული აქვს მუხროვანის ქარხნის გლაუბერის მარილი გაიტანოს საზღვარგარეთ. აღნიშნული ქარხანა თუ კარგ ნიადაგზე იქნება დაყენებული თვეში შეუძლია მოგვცეს 7500 ფუთი მარილი.

— **დახმარება გერმანიის პროლეტარიატს.** 12 და 13 ოქტომბერს ტფილისში მოხდება ყულაბებით ფულის შეგროვება გერმანიის პროლეტარიატის დასახმარებლათ.

— **საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ.** ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის მუშა-მოსამსახურეებმა საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ თავიანთ შორის შეაგროვეს—579 500.000 მან.

— **მექრთამეთა დასჯა.** აღმოსავლეთ საქ. ოლქის სასამართლომ მილიციონერებს: ლ. ჭალალოვს და ხუტულოვს ქრთამის აღებისათვის მიუსაჯა ორ ორი წლით დაპატიმრება, 3 წლით ადმინისტრატიულ ორგანოებში სამსახურის უფლების წართმევით.

— **წარმოება - დაწესებულებების შესახებ.** შრომის ბირჟა შეუდგა ყველა დაწესებულებების დათვალიერებას. დათვალიერების მიზანია, გამოარკვიოს რამდენად სწორად სწარმოებს დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა მიღება და დათხოვნა.

— **პროფ-ტეხნიკური განათლება უმუშევრებისთვის.** შრომის ბირჟამ უკვე გამოჰყო პირველი წყება უმუშევრებიდან 30 კაცისაგან შემდგარი, რომელთაც უნდა მიეცეს პროფტეხნიკური განათლება. აღნიშნულ მიზნისათვის საჭირო თანხის მისაღებათ ბირჟამ შუამდგომლობით მიმართა საქ. შრ. სახ. კომისარიატს.

— **შრომის ბირჟა.** 6 ოქტ. აღრიცხვაზე გამოცხადდა—360, ახლად ჩაეწერა—181. სამუშაოზე გაიგზავნა—96 კაცი.

— **ოზურგეთის რკინისგზა.** ნოემბრამდინ შესაძლებელი გახდება ნოტანებ-ოზურგეთის რკინისგზით მიმოსვლა. 38 ბეტონის ხიდი უკვე გაკეთებულია. ნოტანებიდან 15 ვერსის მანძილზე დადის ოთქლმავალი.

სადგურ ქერიას ასაშენებლად უკვე მოზიდულია დიდძალა სხვადასხვა მასალა. ამ დღეებში მუშაობა დაიწყება. შეძენილია და ნაწილობრივ მოზიდულიც არის მასალა ტელეფონის გასაყვანად.

— **სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმში.** სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე დამტკიცებულ იქნა საქართველოს საპატიმროების მდგომარეობის გამომკვლევი კომისიის შემადგენლობა და ინსტრუქცია კომისიისათვის.

— **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის 228 ნომერში მოთავსებულ წერილში ა, კ. კომუნივერსიტეტის მსმენელთა მიერ გერმანიის პროლეტარიატისადმი შეწირულ 1 პროცენტის მაგივრად უნდა იყოს **ათი პროცენტი.**

— **დაკარგა**—მეტრიკული მოწმობა № 1417 მოცემული 1923 წ. დიმიტრი ნიკოლოზის-ძე ალავიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

პროვინციაში

ქვემო სამეგრელო სტიქიური უბედურების წინ

ეს მეხუთე წელიწადია, რაც მდ. ენგურმა დაიწყო ყოფილი კალაპოტიდან გადმოსვლა და ამ უკანასკნელ ხანებში მიიღო ფრიად საშიში მიმართულება, მიატოვა ძველი კალაპოტი და შეესია მჭიდროდ დასახლებულ თემებს: რუხს, აბასთუმანს, კახათს, შამგონას, კოკის, ცაიშის კახათს და დარჩელს, რომლებსაც ამ წელში, თუ ზომები არ იქნა მიღებული, შთანთქავს კიდევაც,—ამ უნაყოფიერეს ნაწილს მთელს მაზრაში, საიდანაც ყოველ-წლივ იზიდებოდა სხვაგან რამოდენიმე ასი ათასი ფუთი სიმიდი და სხვა სურსათი. ამ თემებმა არ იციან რაქნან მომავალი წლისათვის, სად წავიდენ, რა უყონ ას წლობით ნამუშევარს, სახლკარს, რა ქნას 3,500 კომლ მოსახლეობამ, თუ არ უშველის და არ დაიხსნის მათ ამ უბედურებისაგან მუშურ-გლეხური მთავრობა. მოეხსენებათ მკითხველებს გაზეთებში ბევრჯერ იყო ამის შესახებ წერილები. ჯერ მენშევიკების მთავრობის დროს, სპეციალურად ამ საქმეზე მოწვეულმა ინჟინერ სმოლნიკოვმა დაათვალიერა ენგურის მიდამოები და წარუდგინა მაშინდელ მთავრობას პროექტი, რომელშიაც ამტკიცებდა, თუ საჩქაროდ არ იქნა ზომები მიღებული, ცხრა წლის განმავლობაში მდ. ენგური ქვემო სამეგრელოს ერთიანად წალეკავსო. მაგრამ ის პროექტი ქაღალდზე დარჩა. დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა, ამ მოვლენას ყურადღება მიაქცია ზუგდ. სამაზრო აღმასკომმა და 1922 წლის თებერვალში მოწვეული იყო რესპუბლიკის წყლების მთავარ სამმართველოდან ინჟინერ ჰიდრავლიკი ფირალოვი, რომელმაც ადგილობრივ დაათვალიერა მდ. ენგური, გაამართლა სმოლნიკოვის პროექტი და თან დასძინა, თუ შეუდგებით, მუშაობა უნდა სწარმოებდესო დიდი სიჩქარით, წინააღმდეგ შემთხვევაში უარესი იქნებაო. ასეც მოხდა: დავიწყეთ მუშობა, გავაკეთეთ ნაწილი საქმის, შემდეგ მუშაობა შევაჩერეთ, ეხლა ყოველ ნაბიჯზე გადმოდის წყალი. ეხლა მდ. ენგური პატარაა, რადგანაც თოვლის წყალი ურევია, ეხლა მუშაობა უფრო ადვილია, ვინემ სხვა დროს, თორემ გაზაფხულზე წყალდიდობა რო დაიწყება, მერე უფრო ძნელია, ამასთან ზემოხსენებული თემები მარტო ვერ შესლებენ ამ უბედურებისაგან თავის დაღწევას უსახსრობისა გამო. ამისათვის ვსთხოვთ უმაღლეს მთავრობას მიიღოს შესაფერისი ზომები ეხლა, ამ შემოდგომასა და ზამთარში თუ არ იქნა

მუშათა ცხოვრება

პასუხი ამხ. კობიძეს მისი წერილის გამო

(იხ. „კომუნისტი" № 215)

გაზეთ „კომუნისტი"-ს მე-215 ნომერში მოთავსებულია წერილი მუშა ნიკოლოზ კობიძის ხელისმოწერით სათაურით: „დაუბოლავებელი გაუგებრობა".

ამ წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ რკინისგზის მტვირთავ მუშების გართულებულ მდგომარეობის გამო საქმე განიხილა ს. კ. პ. ც. კ. და გამოიტანა მუშების სასარგებლოდ დადგენილება, რომლითაც ტრამოტის მიერ რკინისგზასთან დადებული ხელშეკრულება უნდა გაუქმებულიყო და ტვირთვა-გადმოტვირთვის საქმე თავის მუშებით, 1-ლ სექტემბრიდან გადასცემოდა რკ. გზას, ჯამაგირის გადიდებით და მუშებისთვის რკინისგზის მოსამსახურეთა უფლების მიცემით და სხვა.

საქმის მდგომარეობა მოკლედ შემდეგშია:

ცენტრამოტას 1-ლი მარტიდან აქვს აღებული ტვირთვა-გადმოტვირთვის საქმე რკინისგზის საქართველოს ხაზზე. მუშები ღებულობენ ჯამაგირს მე-6 კატეგორიით 17 ხარისხიანი ცხრილით. თანახმად ხელშეკრულებისა, რკინისგზას უნდა მიეცა ტრამოტისთვის ყოველ გადამუშავებულ ფუთ ტვირთზე 2 კაპიკი ოქროთი. ნამდვილად კი ის იძლეოდა არა ოფიციალური კურსით, არამედ თავის რკ. გზის მიერ ცალკე შემუშავებულ კურსით, რომელიც ნაკლებია 50 პროცენტით ოფიციალური და 100 პროცენტით საქონლის მანეთის კურსზე.

უკანასკნელ დროს ცხოვრების საზღაპროდ გაძვირების გამო მუშებმა მოითხოვეს 1) 6-დან მე-7 კატეგორიაში გადაყვანა, 2) პირველ განაკვეთის 8 მანეთამდე გადიდება 6 ნახევრის მაგიერ, სასურსათო ბილეთების მიცემა და საერთოდ რკინისგზის მუშების უფლებებით სარგებლობა.

ვინაიდან ტრამოტა ჯამაგირს აძლევდა მუშებს საქონლის მანეთის ოფიციალურ კურსით, თვითონ კი ღებულობდა რკინისგზის კურსით, რომელიც, როგორც ზევით არის ნათქვამი, ნაკლები იყო საქონლის კურსზე 100 პროცენტით, მას (ტრამოტას) არ შეეძლო დაეკმაყოფილებია მუშების კანონიერი მოთხოვნილება და ამიტომ მიმართა რკინისგზის სამმართველოს, რომ მას სავსებით შეესრულებია ხელშეკრულება და მიეცა 2 კაპეიკი ოქროთი ოფიციალური კურსით. რკინისგზასთან ამ საქმეზე მოლაპარაკებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო მუშათა ადგილკომმა, ადგილობრივმა იაჩეიკამ, რაიკომმა კავშირმა და ს. პ. კ. ს.-მ. მაგრამ ვინაიდან ამ მოლაპარაკებით ვერავითარ შედეგს ვერ მივაღწიეთ, უკანასკნელად საკითხი დაისვა საქართველოს კ. პ. ცენტ. კომიტეტში, სადაც რკინისგზის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ ტრამოტას არ შეუძლია, რკ. გზა თვითონ აიღებს ტვირთვა-გადმოტვირთვის საქმეს და თვითონვე დააკმაყოფილებს მუშების მოთხოვნილებას, რაზედაც ტრამოტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ თუ ამით გაუმჯობესდება მუშების მდგომარეობა, ის სიამოვნებით გადასცემს ამ საქმეს რკ. გზას.

თათბირმა გამოიტანა შესაფერი დადგენილება და ამრიგად 1-ლი სექტემბრიდან ტვირთვა-გადმოტვირთვის საქმე გადმოსულია რკ. გზაზე და ამავე რიცხვიდან ტრამოტის რკ. გზის განყოფილების ყველა მუშა-მოსამსახურენი ითვლებიან რკ. გზის მუშა-მოსამსახურეებად.

ასეთია საქმის ვითარება.

ნ. კობიძის განცხადება, რომ მუშები „ცის მანანასავით" მოელიან ტრამოტის რეჟიმიდან განთავისუფლებას, ძალიან შორს არის სიმართლესთან. ამის დასამტკიცებლად მარტო ის კმარა, რომ ბათომიდან, სამტრედიიდან, ხაშურიდან და ნავთლუღიდან დაახლოვებით 800 მუშა თხოულობსო, „ტრამოტის" ხელში დარჩენას, რადგანაც მათ იციან, რომ დიდი ნაწილი ტრამოტის პირობების ხელსაყრელი იყო მუშებისთვის და 1060 კაციდან მხოლოდ 100—150 კაცი იყო რკინის გზაზე გადასვლის მომხრე.

როგორც ზევით არის ნათქვამი, ამ საქმეში ყველა ორგანიზაციების წარმომადგენელნი ღებულობდენ მონაწილეობას დაწყებული ადგილკომიდან და გათავებული ცეკათი. გასაკვირია, თუ რა აწუხებს ამხ. კობიძეს, რომელმაც უკვე რამდენიმე წერილი ამის შესახებ გაზეთ „კომუნისტ"-ში მოათავსა, სადაც ის გამოსთქვამს თავის უკმაყოფილებას ტრამოტისადმი.

რკ. გზ. ცტმოს განყ. გამგე
დ. კილაძე.

—

დაიცავით მუშათა ჯანმრთელობა.

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

დილა ადრიანად, როცა თბილისის რამოდენიმე ათასი მუშა სამუშაოზე მიდის, მეეზოვეები მაშინ ჰგვიან ხოლმე ქუჩებს და ზედ წყალდაუსხმელად ისეთ მტვერს აყენებენ, რომ რამოდენიმე ნაბიჯზე კაცსაც ვერ დაინახავ.

ქალაქის ზოგიერთ ნაწილებში კი მეეზოვეები მაშინ ჰგვიან, ან რწყავენ ხოლმე ქუჩებს, როცა ბურჟუა-სპეკულიანტები, ნაქეიფარნი, ღვინით თავგაბრუებული ბრუნდებიან შინ.

ვაქცევთ რა ამას აღმასკომის ყურადღებას, საჭიროდ მიგვაჩნია, გამოიცეს დადგენილება, რათა დილას ქუჩები უკვე დაგვილი იქნეს, და თუ ეს რაიმე მოსაზრებით შეუძლებელია მაშინ ქუჩები მხოლოდ წყლით იქნენ მორწყული.

მუშები მტვერით იხრჩობიან.

მუშკორი მარხი.

—

მეორე რაიონის კინოს ელექტრონის სადგური.

(პროფკავშირების საყურადღებოდ).

აღნიშნული სადგური ანათებს „კინო პალასს", რომელსაც შემოსავლის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს მეორე რაიონში. „კინო პალასსიც" და ეს ელექტრონის სადგურიც ეკუთნის პროფკავშირს. ამ სადგურში ორი მატორია და ერთი დინამო მაშინა. ამ ორ მატორში ერთი მუშაობს და ანათებს მხოლოდ „კინოპალას", მეორე კი მთლად გაჩერებულია ურემონტობის გამო. ამიტომაც მუშათა ცენტრალური კლუბი, რომელიც ამავე შენობაშია და ისიც პროფკავშირს ეკუთვნის, თავის სადგურიდან სინათლით ვერ სარგებლობს და ათეულ მილიარდებს აძლევს „უეს"-ს სინათლის გადასახადს ადამოვის სადგურიდან. მეორე წელიწადია ამ ელექტრონის სადგურის და ამ მატორის შეკეთების ბედი ვერ გამოირკვა. რატომ არ კეთდება მეორე მატორი, ან რათ იხდის მუშათა ცენტრ. კლუბი იმდენ მილიარდ სინათლის ქირას, როდესაც თავის საკუთარ ელექტრონის სადგურში მატორის შეკეთება გაცილებით უფრო ნაკლები დაჯდება იმაზე რაც ამ ზაფხულს „უეს"-ს სინათლის ქირა გადაუხადა.

მუშკორი ჩარხი.

—

განა ასე უნდა დარჩეს?

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

აღსანიშნავია ის არანორმალური მდგომარეობა, რომ მუშები წყლის ფულს ისეთი ანგარიშით იხდიან, როგორც ვაჭარ-სპეკულიანტები.

ამ ნიადაგზე მუშებთან საუბრის დროს ხშირად ვხდებით მათ მიერ უკმაყოფილების გამოთქმას.

ასანთის ქარხნის მუშა-ქალი, ამხ. კაფფა პატარა ბავშვით სცხოვრობს გრიბოედოვს ქ. № 10-ში.

ხსენებული სახლის გამგემ აგვისტოს თვის წყლის ფული გაანაწილა ყველაზე ერთნაირად და ერთ სულს 4 ნახ. მილიონი მახ. მოუწია.

მუშა-ქალი ამხ. კაფფა კითხულობს: „თუ ჩვენ სახლის ქირას შეღავათით ვიხდით, რატომ არ შეიძლება, რომ წყალიც შეღავათიან ფასებში გვეძლეოდეს"-ო.

მართლაც ამ ამხანაგმა აგვისტოს თვეში ერთ ოთახზე გადაიხადა 1 ნახ. მილიონი; ამავე სახლში სხვა კერძო თავისუფალ პროფესიის ხალხმა კი 20 მილ. და მეტი.

რატომ არ შეიძლება წყალზეც ასე?

საჭიროა ქალ. აღმასკომმა მიიღოს შესაფერი ზომები.

მუშკორი მახხი.

—

იშვიათი საღამოები.

სახალხო განათლების კომისარიატის დახმარებით საქართველოს პროლეტკულტის მიერ მოეწყო სამხატვრო სააგიტაციო ექსპედიცია, რომელიც 29 აგვისტოს გაემგზავრა პროვინციაში საღამოების მოსაწყობათ.

ექსპედიციის ხელმძღვანელათ დაინიშნა ამხ. სანდრო ეული. ექსპედიცია შესდგებოდა საქ. პროლეტკულტის ქართული დრამატიული სტუდიისაგან რეჟისორი ამხ. კობახიძის ხელმძღვანელობით. ექსპედიციაში შედიოდა ერთი მომღერალი და ერთი პიანინოზე დამკვრელი. საღამოები იმართებოდა შემდეგი პროგრამით: 1) მოხსენება „პროლეტარული კულტურა და პროლეტკულტი საქართველოში"; შემდეგ იდგმებოდა ორი სურათი რუსეთისა და ქართველ პროლეტარულ მწერლების ნაწარმოებიდან სასცენოთ გადმოკეთებული პირველი „სამჭედლოში" მეორე—„რევოლიუციის ტალღებში". შემდეგ სტუდიელები კითხულობენ პროლეტარულ მწერალთა ნაწარმოებებს და მომღერალი კი მღეროდა რევოლიუციონურ რომანსებს ქართულად და რუსულათ.

საღამო თავდებოდა რევოლიუციის გამარჯვების აპოთეოზით.

ასეთი საღამოები გაიმართა გორში—2, სურამში—1, ბორჯომში—1, ჭიათურაში—1, შორაპანში—1, მიხაილოვში—1, სამტრედიაში—1, ფოთში—4, ოზურგეთში—1, ბათომში—2, ახალ-სენაკში—2. სულ ჩვენს საღამოებს დაესწრო 10,000 მეტი მუშა-მოსამსახურე. რკინის გზის მუშებისათვის საღამოები იმართებოდა უფასოდ.

საინტერესოა ის შთაბეჭდილება, რომელსაც სტოვებდა ჩვენი საღამოები განსაკუთრებით მუშა-მოსამსახურეებზე. საღამოს დაწყების წინ ამხ. სანდრო ეული უხსნიდა მაყურებელთ პროლეტარულ ხელოვნების დანიშნულებას. სხვათა შორის ის ამბობდა, რომ საღამოს შინაარსი ჩვენთვის სრულიად მისაღები იქნება, მხოლოდ მისი მხატვრული მხარე ვერ იქნება პროლეტარიატისთვის სრული დამაკმაყოფილებელი.

დღევანდელი საღამო არის პირველი ნაბიჯი, ჩვენი პირველი ცდა საქართველოში პროლეტარულ შემოქმედების სფეროში. მიუხედავად ასეთი გაფრთხილებისა საღამოები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებლებზე. ამას ადასტურებენ მთელი რიგი მუშათა ორგანიზაციებისა. საღამოს დასასრულს მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები ესალმებოდნენ საღამოს მომწყობთ და სურვილს გამოსთქვამდნენ ასეთი საღამოების ხშირად გამართვისას.

გაიმართებოდა საღამო თუ არა, ექსპედიციის ხელმძღვანელთან მიდიოდნენ სხვადასხვა პროფკავშირების წარმომადგენლები და სთხოვდნენ მათი წევრებისათვის საღამოს გამართვას, რისთვისაც არ იშურებდნენ ხარჯებსაც-კი. ამით აიხსნება ის, რომ ფოთში გაიმართა საღამო ოთხჯერ (4) და დრო რომ ყოფილიყო, ორჯერ კიდევ გაიმართებოდა.

მადლობის ღირსია სახალხო განათლების კომისარიატი და საქართველოს პროლეტკულტი ასეთი იშვიათი საღამოების მოწყობისათვის.

ხირიუხი.

—

განათლების სახალხო კომისარიატის საყურადღებოდ.

ჩვენ, მუშები, უცდით პასუხს მე-11 ტეხნიკუმის გამგესაგან, თუ როდის გადასწყდება იმ ჩვენ ბავშვების ბედი, რომელნიც ირიცხებიან კანდიდატთა სიაში. სკოლის გამგე ჯერ-ჯერობით დადებითს პასუხს ვერ იძლევა და ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ კომისარიატმა მოახდინოს განკარგულება, რათა მუშების და ღარიბ გლეხების შვილები არ დარჩნენ ქუჩებში და იქნენ მიღებულნი სკოლაში, რათა ამით მუშის შვილებს მიეცეს საშუალება შედგან ფეხი განათლებაში. დრო არ იცდის. საქმეს ადრე უნდა მოგვარება, თორემ ბავშვები ჩამორჩებიან სწავლას, ან და ქუჩაში დარჩებიან. პასუხს ველით საჩქაროდ.

მუშკორი ი. ნერონ.

ბოლო მოღებული ამ საშიშროებისათვის, მერე გაანადგურებს ზემოხსენებულ თემებს. ყოველი წუთი ძვირფასია ამ საქმისათვის, რამდენიც დრო გადის, იმდენათ უფრო ემატება ჩვენს მომავალ სამუშაოს. მოველით შველას.

კახათის თემის აღმასრულებელ კომიტეტის თავჯდ. **კონდრატე ჯიქია.**

დ. საჩხერე (შორაპნის მაზრა)

21 სექტემბერს დ. საჩხერის ახალ თეატრში მოხდა ადგილობრივ მცხოვრებთა საერთო კრება; კრებას დაესწრო დიდძალი ხალხი, იყვნენ აგრეთვე ქალები და ახალგაზრდობაც. კრება გახსნა რაიკომის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ჟუმბურიძემ. თავმჯდომარისა და მდივნის არჩევის შემდეგ, საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ჭიათურის ვაგონის მუშა, ყრილობის დელეგატი ნიკო ცირიკიძე. მან მარტივად განუმარტა დამსწრე საზოგადოებას მენშევიკების პარტიის დაშლის მიზეზები, ყრილობის მუშაობა და დადგენილებები.

ამხ. ცირიკიძის მოხსენების შემდეგ ილაპარაკეს სხვებმაც. კრებამ ერთხმად მოიწონა ყრილობის მუშაობა. შემდეგ გამოვიდა სამპარტკომის პ. მ. მდივანი ამხ. ქავთარაძე, რომელმაც ვრცელი მოხსენება გაუკეთა კრებას ელექტრონის განათების შესახებ. მან ციფრებით დაუმტკიცა მსმენელთ ელექტრონის განათების უპირატესობა ნავთით განათებასთან შედარებით და მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას, რათა დ. საჩხერეში გაშენებული იქნეს ელექტრონის სადგური. მრავალრიცხოვანი კრება სიხარულით შეხვდა მომხსენებლის წინადადებას, უკამათოდ აირჩია ცხრა კაცისაგან კომისია და დაავალა ამ კომისიას დაუყონებლივ შეუდგეს ამ საკითხის მოგვარებას აღმასკომთან ერთად. კრებამ გაარჩია კიდევ სხვა საკითხები, როგორიც არის გზატკეცილები, სწავლა-განათლება და წყლის სადენის საკითხები.

საჭირო არის ასეთი ხასიათის კრებები ხშირად ხდებოდეს არა მარტო საჩხერეში, არამედ რაიონის თემებშიაც და მით საშუალება მიეცეს ფართო მასას გაეცნოს თავისსა საჭირ-ბოროტო საკითხებს.

ანქანი.

ახალსოფლის თემი (გორის თემი)

ახალსოფლის თემი შესდგება 390 კომლისგან, რომელიც შეიცავს 3092 სულს. ამ თემის მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენენ ოსები. თემში 95 პროც. წერა-კითხვის უცოდინარია. სკოლები და სამკითხველოები აქ სრულიად არ მოიძებნება. მცხოვრებთა უმრავლესობა მისდევს საქონლის მოშენებას, რასაც ხელს უწყობს მშვენიერი საძოვარი მთები და სათიბები. მევენახეობა და მებოსტნეობა აქ არ იციან, რადგანაც ჰავა ცივია. ჭირნახული ძალიან მცირე მოდის, სახნავი ადგილების ნაკლებობის გამო.

თემი სულ მთა-გორიანია და შიგა და შიგ ღელეებში პატარ-პატარა ადგილებია გავაკებული. გზებათ ხმარობენ ვიწრო დახლართულ ბილიკებს, რომლებზედაც ფეხითაც ძნელია სიარული, ცხენით ხომ უარესი. ამიტომ თემი მოწყვეტილია მაზრის ცენტრს; არავითარ კულტურის შეტანას თემში არა ჰქონია ადგილი. ამ თემში 24 სოფელია და უბანი; ზოგი სოფელი ისეთი პატარაა, რომ შეიცავს 10, 8 და 5 კომლს. თემის ცენტრიდან დაშორებულნი არიან 5, 10 და 15 ვერსზედ, სამაზრო ცენტრთან კი 45 ვერსზედ.

გორის მაზრაში საერთოდ ბევრს თემზედ გადის რკინისგზა და დანარჩენებზედ გვარიანი გზატკეცილი და საურმე გზები, ამიტომ იქ მცხოვრებლები ხშირათ ხვდებიან მაზრის ცენტრს და ადვილად იგებენ ამბებს. გარდა ამისა ამ თემებს ხშირად ხვდებიან შეგნებული მუშები, რომლებსაც შეაქვთ მათში ცნობიერება. საჭიროა ამ მივარდნილ თემში მივიდნენ მოწინავე მუშები, შეიტანონ განათლების ლამპარი და გაუწიონ შეფობა.

ინსტრუქტ. ეპიფანე ხიამაიშვილი.

იანეთის ბაქანი

30 წელზე მეტი იქნება, რაც ეს ბაქანი არსებობს, მაგრამ არავითარი კულტურული და ეკონომიური ცვლილება ამ ადგილს არ დატყობია.

მის მახლობლათ ერთი ოჯახიც არ დასახლებულა, შერჩა მხოლოდ ორი სამიკიტნო დუქანი და კოოპერატივი. ამ რამდენიმე წლის წინათ აქ ბაზრის დაარსებაც განიზრახეს, გააკეთეს სასწორი, სავაჭრო კარვები, გააკრეს განცხადებებიც, მაგრამ საბაზროთ მხოლოდ იანეთი იყრიდა თავს და სხვა სოფლებიდან კაცი არ მიჰკარებია. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ხსენებული ადგილი მოწყვეტილია სოფლებს, მის აღმოსავლეთ-სამხრეთით 10—15 ვერსზე მოსახლეს ვერ შეხვდებით. დანარჩენ სოფლებს კი სამტრედია და დიდი-ჯიხაიშის ცენტრები იზიდავს, და იანეთის ბაზრის საჭიროება არვის არ უგრძვნია.

ხსენებული ბაქანი დღეს უარეს მდგომარეობაშია, ვინაიდან დარჩენილი ფიცრული სახლებიც მეპატრონეებმა აალაგეს და თვალწინ გეჩხირებათ მხოლოდ სამიკიტნო თავის არღნით და ყოფილ დუქანში მოთავსებული იანეთის თემის სამმართველო. აი ასეთია ამ ბაქანის გეოგრაფიული და კულტურული მდგომარეობა, ის მეტად დაბლობი და გარიყული ადგილი გახლავთ, და თუ ამას მიუმატებთ, რომ მდ. გუბის წყლის ადიდების დროს მთელი ის მიდამო წყლით იტბორება.

მაშინ, თავის თავად ცხადია, ეს ადგილი საცხოვრებლად არვის მიიზიდავს.

სამწუხაროდ, ყოველის მხრივ ასეთ შეუფერებელ ადგილზე—იანეთმა, რომელსაც ჯიხაიშიც მხარს უმაგრებს, განიზრახა სადგურის აშენება. სადგურის აგება, რომ სიმპატიური საქმეა, ამას მტკიცება არ ესაჭიროება, მაგრამ საქმის ინიციატორებს არ უნდა გამოეშვათ მხედველობიდან ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებანი და ის უნუგეშო სურათი, რომელსაც იძლევა, თუ გნებავთ სად. „კოპიტნარი", სადაც საუკუნის განმავლობაში ერთი მოსახლეც არ დასახლებულა და დაარსების დღიდანვე მოწყვეტილი დარჩა სოფლებს. ასეთივე ბედი მოელის იანეთის სადგურსაც, ამ საქმის მეთაურები განგებ იბრმავებენ თვალს, როდესაც იქვე ერთი ვერსის მანძილზე დასავლეთით არსებობს ბუნებრივათ დაჯილდოვებული ადგილი სახელწოდებით „ქოსნატი". ეს ადგილი თავის სიზეგნით რკინისგზის ხაზს უთანასწორდება, ოთხი ადლით მაღლობია, ვიდრე იანეთის სასადგურე ალაგი, შეიცავს 200 დესეტინა საფონდო მიწას, შუაზე სჭრის ეწრისა და იანეთის თემებს და მიემართება დიდი ჯიხაიშის თემისაკენ, რომელზედაც ეხლახან გაყვანილ იქნა მშვენიერი გზატკეცილი, მასთან ეს მიდამო თავის სისწორით და გზების მიმართულებით იზიდავს ტობანიერისა და საპაიჭოს თემებსაც, რომლების დადგენილებაც ჩვენ ხელთა გვაქვს, ამასთანავე, რაც მთავარი გახლავთ,—თვით ადგილი არავითარ ხელოვნურ აზეგნებას არ მოითხოვს, იმ დროს, როდესაც იანეთის ბაქანის ასაზეგნად აურაცხელი ზედმეტი შრომა უნდა დაიხარჯოს, რამდენიმე დესეტინა სადგურისათვის საჭირო მოედანი სამ ადლზედ მეტი სიმაღლით უნდა აივსოს მიწით, რასაც ძალათ ჩათრეული ხალხი ხარ-ურმით ეზიდება, სადგურის მეთაურები მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩაცვივდენ, მათ რკინისგზის მართველობას აღუთქვეს სასადგურე ადგილის, ყოველის მხრივ აზეგნა—გასწორება, მაგრამ საჭირო მიწა სად უნდა ეშოვნათ ეს ალბათ მხედველობიდან გამორჩათ, თუმცა ბევრი ყოყმანი არც ამისთვის დასჭირდათ. საქმე რაკი სასწრაფო იყო, იქვე ახლოს დაიწყეს მიწის თხრა, მაგრამ მოგეხსენებათ ფიზიკის კანონს ვერსად გაექცევი! თუ იზეგნება ერთი ადგილი იმდენათვე დაბლდება მეორე. ბაქანთან ახლოს ჩნდება ვეებერთელა ხელოვნური ორმოები, სადაც ალბად ახლო მომავალში ჩვენ გვექნება ამყრალებული წყლით სავსე ტბები, რომელთა მეოხებით თავი უნდა ირჩინოს ათასმა გვარმა ეპიდემიამ. აი ამას ჰქვიან ახალი კულტურის შექმნა და ჰიგიენის სიფაქიზით დაცვა! საჭიროა კუთხურ ქინიანობას მოეღოს ბოლო, ამ საქმის დამწყებთ რომ ოდნავ ობიექტიობა გამოეჩინათ, ასეთ ავანტიურას ადგილი არ ექნებოდა. საჭიროა, ამ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი და სასწრაფო ყურადღება, ვიდრე გვიან არ არის, და სადგური აშენდეს იქ, სადაც გაცილებით ნაკლები შრომა დაიხარჯება და მეტი ობიექტიობაც იქნება დაცული.

მეთვალყურე

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 110

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების სამმართველოსთან არსებული პენიტენციალური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა საპატიმრო ადგილის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ 1923 წ. მარტის 10-ს თარიღითა და 85 №-ით გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის განსავითარებლად დამტკიცებულ იქნეს იმასთანავე დართული დებულება „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების სამმართველოსთან არსებული პენიტენციალური საბჭოსი.

2. 1923 წლის მარტის 10 თარიღისა და 85 ნომრის დადგენილების მე-4 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„დასჯის პოლიტიკის საერთო პრინციპიალური საკითხების შესამუშავებლად, პენიტენციალურ და დანაშაულობასთან საბრძოლველ ღონისძიებათა განსახორციელებლად და ყველა იმ მოსაზრების განსახილველად, რომელიც შეეხება პატიმართა ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და თავისუფლების აღკვეთის ადგილების ახალ საფუძველზე გარდაქმნას, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების სამმართველოსთან მოეწყოს პენიტენციალური საბჭო".

3. მე-4 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი
ალ. სალარიძე.

1923 წ. ოქტომბრის 6.
ტფილისი—სასახლე.

—

დებულება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების სამმართველოსთან არსებული პენიტენციალური საბჭოსი.

1. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების სამმართველოსთან არსდება პენიტენციალური საბჭო, რომელიც შესდგება შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა—საპატიმრო ადგილების სამმართველოს უფროსი,—იუსტიციის სახალხო კომისარიატისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, განათლების სახალხო კომისარიატისა. საპროკურორო ზედამხედველობისა და სხვა პირებისაგან, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოწვევით. პენიტენციალური საბჭოს თავმჯდომარეს დანიშნავს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

2. საბჭოს სხდომაზე შესაძლებელია მოწვეულ იქნენ, თავმჯდომარის შეხედულებისამებრ, სათათბიროდ ან და ახსნა-განმარტებისათვის, გარეშე პირნიც, რომელთაც შეუძლიანთ, საქმის თვისებისა და ხასიათისდაგვარად, სასარგებლო ცნობები მიაწოდონ საბჭოს.

3. პენიტენციალური საბჭოს საქმის წარმოება დაევალება საპატიმრო ადგილების სამმართველოს ერთ-ერთს თანამშრომელს საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნით.

4. პენიტენციალურ საბჭოს არა აქვს აღმასრულებელი ხელისუფლება.

5. პენიტენციალურ საბჭოს მოიწვევს თავმჯდომარე საჭიროებისა და საქმეების დაგროვების მიხედვით.

6. საბჭოს მიერ გამოტანილი დასკვნა იწერება ჟურნალში, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და წევრები. ჟურნალი იგზავნება საპატიმრო ადგილების სამმართველოში. მას უნდა დაერთოს იმ წევრთა ცალკე აზრიც, რომელნიც არ დაეთანხმებიან საერთო დასკვნას.

7. პენიტენციალური საბჭოს ჟურნალი საპატიმრო ადგილების სამმართველოს უფროსის მიერ უნდა წარედგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს გადასაწყვეტად.

8. პენიტენციალურ საბჭოში განხილული თვითეული საქმის შემდგომ წარმართვის შესახებ საპატიმრო ადგილების სამმართველოს უფროსი აცნობებს საბჭოს უახლოეს სხდომაზედ.

9. როცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი წარადგენს უმაღლეს ორგანოში გადასაწყვეტად იმ საქმეს, რომელიც წინასწარ განხილულ იყო პენიტენციალურ საბჭოში, საბჭოს მოსაზრება და დასკვნა აღნიშნულ უნდა იქნეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მიერ წარდგენილ წერილობითი განმარტებაში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ.
სალარიძე.

1923 წ. ოქტომბრის 6.
ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 4 რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოთჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ რაიკომის საალრიცხვო-სტატისტიკურ განყოფილებაში ერთიან პარტბილეთების მისაღებათ:

1. ინდიკოვ მიხეილი. 2. ბარტყულაშვილი ფანია, 3. ზაქარაშვილი გიორგი, 4. დავრიშვილი ალექსი. 5. გეგეჭკორი ნადეჟდა, 6. ტერ-პოღოსოვი ათანეს. 7. გეგეჭკორი გრიგოლ. 8. ბალიაშვილი პავლე, 9. იუზბაშევი გიორგი, 10. ეგანოვი თათევოს, 11. კვერცხიშვილი პავლე, 12. გურეცკი ვიქტორ, 13. როსტიაშვილი გაბრიელ. 14. სირაძე აბიატორ, 15. მალანინი ნიკოლოზ, 16. თარხანოვი გრიგოლ, 17. დუჩიძე ნიკოლოზ; 18. სიმკინი ივანე, 19. სოხაძე პიმენ, 20. კუპრავა რომან, 21. ყრუაშვილი ილია, 22. საპარიანი არმენაკ, 23. ორლოვი იოსებ, 24. თათრაშვილი ალექსანდრე, 25. კვირიკაშვილი სპირიდონ, 26. დოლიძე გრიგოლ. 27. ზუმბულიძე ალექსანდრე.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.
საალრიცხვო-სტატისტიკურ განყოფილების გამგე ისაკოვი.

— საქართველოს კ. პ. ტფ. ორგანიზაციის მე-2 რაიონის კომიტეტი იუწყება, რომ 11 ოქტომბერს, დღის 2 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის ბინაზე შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მუშათა ფაკულტეტის სტიპენდიატთა საერთო კრება. ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

სტიპენდიანტებს, რომლებიც კრებას არ დაესწრება, სტიპენდია ჩამოერთმევა.

უჯრედის ბიურო.

განცხადებები

ხუთშაბათს, ოქტომბრის 11-ს სოფ. ჭალაში, (საჩხერეს მახლობლად)

მიხეილ (მიხაკო) გიორგის ძე
აბაშიძის

გარდაცვალების წლის თავზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი, რასაც განსვენებულის ჭირისუფალნი გამოუთქმელის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ. 22 1—1

სახელმწიფო აკადემიური ოპერა
დღეს, 9 ოქტომბერს, 1923 წ.
ადა რებონეს პირველი გამოსვლაა
კარმენ
ისპანიურ ცეკვებს დასდგამს ბალეტმეისტერი მ. დისკოვსკი.
ოთხშაბათს 10 ოქტომბერს
პირველი გამოსვლა არტ. ლ. მარკოვასი, ი. ზავალოვისა, ვ. დევლეტისა.
ოპ. „ევგენი ონეგინი"
წარმოდგენების დასაწყისი სრულ 8 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 საათიდან 3 საათამდე და 6 ს. წარმოდგენის გათავებამდე.
660 1—1
რეჟ-აღმ. ნ. პუშკოვი.

ზემო ავჭალის ჰიდრო ელექტრონის სადგურის საამშენებლო სამუშაოების სამმართველო ამით აცხადებს

საჯარო ვაჭრობას

მავთულების, „შნურის", „როლიკების", „პატრონების", „ვიკლიუჩატელების", „პრედოხრანიტელების", ელექტრონის შუშების, ბერგმანის მილების და 500 შუშის მოსაწყობ სხვა მასალის მისაწოდებლად.

საჭირო მასალის ვრცელი სიის მიღება შეიძლება ყოველ დღე სამმართველოს მასალათა განყოფილებაში.

განცხადებანი მთლიანად და ნაწილობრივ მიწოდების შესრულების შესახებ, ცალკე ფასების აღნიშვნით უნდა იქნას წადგენილი დახურულ კონვერტებში არა უგვიანეს 15 ოქტომბრის შუადღის 12 საათისა სამუშაოების სამმართველოში (ლადო დუმბაძის ქ. № 3).

უპირატესობა მიენიჭებათ იმ მიმწოდებელთ, რომელნიც მიაწოდებენ მასალებს ტფილისის საწყობებიდან.

კრ. 658 1—1 სამუშაოების უფროსის თანაშემწე გ. კიკნაძე.

სავალდებულო დადგენილება

ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტისა
ქალ. ტფილისის მიდამოებში მ
ფერდოების დაცვის შესახებ

5 ოქტომბერი 1923 წ.

ტფილისის მიდამოებში მთა-ფერდოების [illegible] ზოგიერთ ქუჩების ნიაღვარისაგან წალეკვის თავიდან [illegible] ლისის აღმასკომი ადგენს:

1. აკრძალულია ტფილისის მიდამოებში—კოჯორის გზა და ვარაზის ხეობის ფარგლებში ძოვება მსხვილ და წვრილ-ფეხა ლისა.

2. აკრძალულია ამავე ადგილებში სეირნობა, და საერთოდ გვარი სიარული, მოტეხა და ამოთხრა ბუჩქნარებისა, მოწყვეტა ყვა ს და გაფუჭება ლობეებისა.

3. ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამ დაჯარიმებულ იქნებიან ადმინისტრატიული წესით შემდეგი რიგით სულ დაკავებულ წვრილ ფეხა საქონელზე (ცხვარზე, ღორზე, ვირზე თითო ბაჟალლოს მანეთით, 2) ყოველ სულ მსხვილ-ფეხა საქონე თხაზე 2 ბაჟალლოს მანეთით, 3) სიარულისათვის ან სეირნობისათვ მანეთით თვითეული პიროვნება, 4) ბუჩქნარების ამოთხრის და მო თვის ან ყვავილების დაწყვეტისათვის 2 მანეთით თითოეულ ძირზე ლობის გაფუჭებისათვის, მისი ღირებულების აღდგენის გარდა, და ხდება 2 ბაჟალლოს მანეთი.

შენიშვნა: თუ ამა სავალდებულო დადგენილების 1 და ლების დარღვევა მოხდა შემორაგულ ადგილებში, იმ შემთხვ მუხლში გათვალისწინებული ჯარიმა გაორკეცებულ იქნება.

4. ამა სავალდებულო დადგენილების გამოცემით გაუქმებულ სავალდებულო დადგენილება № 7, გამოცემული ამავე საქმის 1922 წ. 28 ივლისს.

5. ქალაქის მილიციას ევალება აღმოუჩინოს დახმარება უძრა ბათა სამმართველოს ამ სავალდებულო დადგენილების ცხოვრებაში ტარებლათ.

6. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის დღიდან გა ქვეყნებისა.

აღმასკომის თავმჯდომარე **ხუხიშვილი.**
659 კრ. 1—1 მდივანი **თიკანაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ხელის მომწერთ
ბეჭვდითი სიტყვის ექსპედიცია
სთხოვს გაზ.: „კომუნისტის", „მუშის", „მიწის მუშის", „რაბოჩ პრავდა"-ს და მოსკოვის ყველა ჟურნალ-გაზეთების ხელის მომწერ რომ იმ შემთხვევაში, როდესაც გაზეთს რომელიმე დღეს მიიღებს სულ, ან თავის დროზე ვერ მიიღებს,
იმავე დღეს გვაცნობოს
ბეჭვდითი სიტყვის ექსპედიციაში, რუსთაველის ქუჩა, №
ტელეფონი № 5-43.
ექსპედიციის გამგე ჩეჩელაშვილი.
654—3—3

ბათომის კომუნალური მეურნეობის განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 15 ოქტომბერს დღი 12 საათზე კომუნალური მეურნეობის შენობაში დანიშნულია წერილობითი

საჯარო შეჯიბრება

იჯარით გაცემისა 7 წლის ვადით კომუნალურ მეურნეობი კუთვნილ სახლის (ყოფილი სასტუმრო ფრანცია ტროცკი ქუჩა), რომელიც შესდგება სარესტორანო შენობიდან მოწყო ბილობით და 28 საცხოვრებელ ოთახებიდან ავეჯეულობით.

მსურველებმა ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისა უნდა გამოგზავნონ არა უგვიანეს 12 საათისა დღით 15 ოქტომბერს ამა მიმდინარე წლის წერილობითი განცხადება დაბეჭდილ კონვერტებში კომუნალური მეურნეობის სახელზე წარწერით „სასტუმრო ფრანციის" იჯარით გამცემ კომისიას.

განცხადებასთან უნდა იყოს შემდეგი დანართები:

1) ბარათი სახელმწიფო ბანკის კომუნალური მეურნეობის მიმდინარე ანგარიშზე 30 ჩერვონცის შეტანისა.

2) ხელწერილი მაზედ, რომ თუ წარმოდგენილი პირობები იქნება მიღებული და კონტრ აგენტი უარს განაცხადებს ხელის მოწერას ხელშეკრულებაზე ერთი კვირის ვადაში დღიდან მისი დამტკიცებისა, შემოტანილი საწინდარი რჩება კომუნალური მეურნეობის სასარგებლოდ და პირობა ჩაითვლება გაუქმებულად.

3) საბუთები, რომლებიც დაადასტურებენ პირადობას და რწმუნება შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებთა პირების, შემოტანილი საწინდარი იმ პირის, რომლის წინადადება იქნება მიღებული, დარჩება როგორც ასეთი და ამას გარდა პირობის შეკვრის დროს აღნიშნული საწინდარი უნდა იქნას შევსებული 10 პროცენტამდე ხელშეკრულების სრული თანხიდან.

ფასები უნდა იქნას განცხადებული ჩერვონცებით. განცხადებები უნდა იქნას გადახდილი სალერბო გადასახადით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე კომუნალურ მამულების ქვე-განყოფილებაში.

კომუნალურ მეურნეობის გამგე ვ. ჩაჩბა.
კომუნალურ მამულების განყოფილების გამგე კანდელაკი.
საქმეთა მმართველი ბელქანია.

კრ. 649 7—6.

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით [illegible]
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სქესიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ.
სამკურნალო [illegible] ექ. სვიმონ ჟიჟიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (1252 —25—5)

დაკარგა პარტიული მანდატი, გაცემული საქართველოს კო მარტიის ცკას მიერ № 1986 ლუკა კიკალიშვილ სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 21 1—1.

დაკარგა პარტიული მანდატი იოსებ დავითის-ძე ცხადაი სახელზე № 3184. ჩაითვალოს გაუქმებულად. 20 1—1.

გამოვიდა და იყიდება ყველა გაზეთის გამყიდველებთან ტფილისში და პროვინციაში
№ 10
ორკვირეული იუმორისტული ჟურნალი
„ნიანგი".
2—2

„ზარია ვოსტოკას" სტამბა. კრ ზინშტეინის ქ. № 4.